ჭიანჭველა

140
1947

№2

თებერვალი

1947

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ВСЕГДА ГОТОВЫ!

ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად
ᲘᲧᲐᲕ ᲛᲖᲐᲓ!

პიონერი

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 21-Ე 1947 გამომცემლობა „კომუნისტი“

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

დღე გადიდდა, დღე გადიდდა,
მზეს შევხარით სითბოს მომცეს.
გულგაშლილმა ენძელებმა
თებერვალი მოგვილოცეს.

ია შეკრთა, გაიღვიძა,
არემარეს დააკვირდა.
— თებერვალი გვეწვიაო, —
გადასძახა ტყემლის კვირტმა.

დღენათელი ქვეყნის ხილვით
გაუბრწყინდა იას თვალი,
შემოგვხედა და ღიმილით
მოგვილოცა თებერვალი.

მზე თვალს მიწას არ აშორებს,
აგვიმღერა ყველას გული
და ალერსით გვაგრძნობინა
საყვარელი გაზაფხული.

ასე მოდის თებერვალი
გაზაფხულის დროშით მუდამ;
ენძელებით გვავიწყდება
ზამთარი და თოვლის გუნდა.

დღე გადიდდა, სითბომ თოვლი
ააცალა მთების კალთებს;
დღე გადიდდა, მზის სხივებმა
ყველგან ლხინი გაგვიმართეს
და თებერვალს, ჩვენს თებერვალს,
გვილოცავენ ყოველ ქართველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჩნაძ ქურული

თბილისი

ეეძღვნა საქართველოზე სახელოთა ხელოვნებულ-ლებას დამყარების XXVI წლისთავს.

I

საქართველოს გულად ჰყავხარ,
შენდები და მზიანობ,
აყვავებულ წალკოტს ჰგავხარ,
ლაჟვარდ-ფირუზიანო!

ცა მრავალჯერ დაბინდულა,
როცა გწვავდნენ დანარბევს,
მაინც იდექ რაინდულად,
იცელავდი არაბებს.

არ შრებოდა სისხლი ხმალზე,
სწუხდი ბედის განწირვით,
დღეს გახარებს სილამაზე,
გზრდის კოლხეთის არწივი.

მკერდს გიმკობენ ყვავილები
წინათ დაჭრილს, ნატყვიარს,
ხენი, ფოთლებგაშლილები,
შენს მოედნებს არტყია.

იადონის ტკბილი ყელით
შენთვის ბევრს უმღერია,
ბავშვმაც იცის, მარჯვე ხელით
შენ გაშენებს ბერია.

მარგალიტად მამულს ჰყავხარ,
ანათებ და მზიანობ,
გაზაფხულის მოსვლას ჰგავხარ,
ლაჟვარდ-ფირუზიანო!

II

შენი დარდით მიოხრავდა
შორ წარსულში მტკვარი,
ვაჟკაცივით ომში გყავდა
რუსთაველის ბწკარი.

ბევრი ჭირი გადალახა
გორგასალის კერამ,
აყვავდი და ხარობ ახლა,
მომავალიც გჯერა.

შუქს მოგაწვდის მალე ხრამი,
რუსთავი კი — ლითონს,
საქართველო ყოველ წამით
მზის ბრწყინვაა თვითონ.

სილაჟვარდით დილას ხვდები,
გზრდიან ზრუნვით, მოვლით,
ცას ელტვიან კვამლის მთები
ქარხნებიდან ბოლვით.

გადაშლილხარ გულის ვარდად,
ხარ სამშობლოს გული,
სიყვარულში გაიზარდა
ხე, ბერიას რგული.

მზის ნანატრი ალაგი ხარ,
ხმალს მტრისათვის იღერ,
სილამაზის ქალაქი ხარ,
შენდები და გიმღერ.

III

ივერცხლება მტკვარი თეთრად,
წყალი ბზინავს ღამ-ღამით.
შიგ ზაჰესის შუქთან ერთად
ჩანს ვარსკვლავის კამკამი.

კარგად ახსოვს ამ მდინარეს
ძველი ქართლის გოდება,
ზვირთი ზვირთს არ ამძინარებს,
ზღვისკენ რბის და გორდება.

სილამაზის სამფლობელოდ
გადაშლილა თბილისი,
სინათლეა მისი ლელო,
ათბობს მზე უთბილესი.

ჰშვენის ქალაქს ათასწლოვანს
დგომა ხარაჩოებში,
სიმღერა ჰსურს საათნოვას
ბალთა ყაყაჩოებში.

ვარძიიდან ელტვის ტალღა
და მდინარეც ხმიანად
კასპიამდე უმღერს ახლა
ბელადს ომახიანად:

— წალკოტია ჩვენი მხარე,
იყო ცრემლით ნამული,
ავაყვავეთ, გავახარეთ
ჯუღაშვილის მამული!

4338

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიგე ზეინაბი

მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი ცქრიალა გოგონა საარჩევნო უბნის კარებში გამოეგება მოხუც ქალს, მიესალმა, მკლავში ხელი ამოსდო და ნელი ნაბიჯით ააცილა კიბეებზე.

— შვილო ზეინაბ შენ უკვე წლოვანი ხარ? არჩევნებში მონაწილეობ?

— არა, ბებია დარო, მე მორიგე ვარ უბანში!

კლუბის შესავალთან მეზობლები შემოეყარათ, უკან ბრუნდებოდნენ.—აა, ხომ დავასწარ მამესწარაანთ დროსა ხმის მიცემა! — სიცილით უთხრა მოხუცმა ქალმა თავის რძალს.

— ვერა, ვერა ჩემო ელისაბედ, შვილსა და რძალს ველოდებოდი რუსთავიდან, გადასწყვიტეს ამ დღეს თბილისში ჩამოვიდნენ და ხმა დიდ ბელადს მისცენ. ველოდე, მატარებელმა დაიგვიანა. მეც დავგვიანდი.

— არა, შენი გულისა, ისე გეხუმრე შე ქალო, მრავალ ბედნიერ დღეს დაესწარ. ეს შენია? რამოდენა შვილიშვილი გყოლია დარო, დღეგრძელობა შენ ქალობასა!

— ელისაბედ, ვერ იცან, ეს ხომ გიორგაძიანთ ზეინაბია?

— თვალი დაუდგეს სიბერესა! ვერ ვიცან, თითისხელა მახსოვს ეს კუდრაჭა ესა...

— გაიხარე, შვილო ზეინაბ, დაურჩი დედაშენს!—დალოცეს მოხუცებმა წასვლის დროს გოგონა.

ზეინაბი კარებისაკენ გაეშურა, ამომრჩეველთა ახალ ჯგუფს წინ მიეგება, თავაზიანად თავი დაუკრა და ალერსიანად მიმართა:

— აქეთ მობრძანდით, მეორე სართულზე, ხელმარჯვნივ!

გურამი და მისი მეგობრები

ყვავილებით სავსე ნათელ ოთახში ახალგაზრდა ქალმა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი პატარა ბიჭუნა დაუტოვა აღმზრდელს. წითელბანტიანმა ცქრიალა გოგონამ ჩაათვალიერა ბიჭუნა და ჰკითხა:

— შენ რა გქვია?!

— გურამი!

— დედაშენი სად წავიდა?!

— ხმის მისაცემად!

— ჰო, დედაჩემიც იქაა. მე რომ გავიზრდები, მეც მივცემ ხმას ძია სტალინს!

ბიჭუნამ დაიმორცხვა, გოგონამ ხელი მოჰკიდა და ფერადყდიან წიგნებით სავსე მაგიდისკენ გაუძღვა გურამს.

— შენ ლექსები იცი, გურამ?!

— ვიცი!

— აი, ამ წიგნში სწერია ლექსები ძია სტალინზე და ძია ბერიაზე!

გოგონამ წიგნი გაშალა. გურამმა ჰკითხა:

— შენ კითხვა იცი?!

— არა, მე ზღაპარი ვიცი „ჩიტი და მელა“, მელამ უთხრა ჩიტს: „ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო“.

გურამმა გაიცინა...

— მიამბე, აბა!

გოგონამ დაიწყო. იცინოდნენ ბავშვები მელას ოინებზე.

შემდეგ დედა დაბრუნდა, პიანინო დაუკრა. მოგროვდნენ პატარები. ცეკვავდნენ, მღეროდნენ. ყველაზე კარგად გურამმა იცეკვა „ლეკური“. დიდხანს მხიარულობდნენ.

მზიას კონცერტი

წინა დღეს რეპეტიცია ჰქონდა მზიას. მთელი კვირა მეცადინეობდა გუნდი. მოამზადეს პიონერული სიმღერები, განსაკუთრებით გულმოდგინედ შეისწავლეს სიმღერა „ძია სტალინზე“.

დილაადრიან პიონერებმა თავი მოიყარეს ლენინის საარჩევნო ოლქის მესამე უბანში, სადაც კენჭს იყრიდა დიდი ბელადი — სტალინი.

— დაიწყეთ, მზია!—უთხრა მასწავლებელმა.

მზია ღელავდა, გუნდს გადახედა, გამხნევდა.

— სიმღერა „ძია სტალინზე“—გამოაცხადა გოგონამ.

მთელის გატაცებით შეასრულა გუნდმა სიმღერა. როცა დაამთავრეს, გაისმა ამომრჩეველთა მჭუხარე ტაში.

შემდეგ ყვავილებით მორთულმა გოგონებმა მანანამ და დოდომ შეასრულეს ცეკვა „თაიგული“.

— თქვენ გაეზარდეთ დედას, რა კარგები ხართ!—მიესიყვარულენ ნორჩ მოცეკვავეებს ამომრჩეველნი.

. კონცერტი რომ დასრულდა, საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარე მივიდა გუნდთან, ხელი ჩამოართვა მზიას და უთხრა:

— ამომრჩეველთა სახელით გმადლობთ პიონერებო! გაიზარდეთ ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი!

ელიზბარ ზედგინიძე (პოლუმორდვინოვი)

ნახატები ვ. ბელუცკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერება

შემოდგომის ცივ დღეებში დაიწყო რუსთავის აგება. დაქროდა ველური ქარი, მაღალ სვეტებად ტრიალებდა ნამქერის კორიანტელი, მაგრამ მშენებლებს არც ყინვა აშინებდა, არც ქარბუქი. ისინი თხრიდნენ მიწას და ახალ ქალაქს საძირკველს უყრიდნენ. ამ მიდამოს ქშენითა და გუგუნით აცოცხლებდნენ ორთქლმავლები — მოჰქონდათ ხე-ტყე, კირი და ხრეში. სოკოებივით ჩნდებოდნენ საცხოვრებელი სახლები და სამუშაო უბნები. სულ მალე ასობით საკვამური აღიმართა ცისაკენ. გამოჩნდნენ ციცინათელებივით ციმციმა ელნათურებიც, რომელნიც ზამთრის ყრუ ღამეებს ანათებდნენ.

აქ, ამ ახლადგაშენებულ ქალაქში, მამასაც კი ასწრებდა ადგომას პატარა ლამარა, სიცოცხლით სავსე, შავთვალწარბა გოგონა. მისი სკოლა სწორედ იმ ქუჩაზე მდებარეობდა, რომელზეც ცხოვრობდა. ისეთი დაუზარელი გოგონა, როგორიც ლამარაა, ხუთ წუთშიც კი მიირბენდა სკოლამდე, მაგრამ ახირებული ხასიათი აქვს მას, პირდაპირი გზით არ უყვარს სკოლაში სიარული. მას არ შეუძლია გამოცდილი ინჟინერივით არ ჩაუაროს სამუშაოებს, არ გადაირბინოს მიწის გროვილებზე, არ გაიაროს ხარაჩოების ქვეშ, არ დაათვალიეროს ის მანქანები, რომლებშიც დუღაბს ამზადებენ. ხშირად მშენებლობის იმ უბანზეც გაივლის ხოლმე, სადაც მამამისი მუშაობს, სადაც რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ორმა და ფართო თხრილია გაჭრილი, თხრილში ასობით ადამიანები მუშაობენ—ფოლადის გამომდნობი ქარხნის მაღალი კორპუსების ასაგებად ქვისა და დუღაბის საძირკველს ყრიან.

ლამარა მიადგება ხოლმე ამ თხრილს, ოდნავ გაოცებული ჩაიხედავს შიგ და წკრიალა ხმით ჩასძახებს:

— მამაა!

საქმით გართული მამამისი უნებლიედ შეკრთება. ეს ხმა, ასეთი ახლობელი და საყვარელი, შიგ გულში სწვდება.

— რისთვის მოსულხარ, შვილო? არ დაგაგვიანდეს!—ტკბილად ეუბნება მამა და მუშაობას განაგრძობს.

ლამარა კი, კმაყოფილი და ბედნიერი, შურდულივით მიქრის სკოლისაკენ.

ბუნებამ ყინულის ღილები გადაიხსნა, ზამთრისაგან შეცივებული გულმკერდი გადაიშალა. მოვიდა თბილი და ლამაზი გაზაფხული. ლამარას ახარებდა ბუნების გარიჟრაჟი. მტკვრის ზვირთებიც უცნაურად ლივლივებდნენ. მზის სხივები კი ყველაფერს და ყველას ეალერსებოდნენ — არა მარტო მერცხლებს, არა მარტო ყვავილებს, არც მხოლოდ ხეხილთა ფოთლებს... ნამდვილად ყველას და ყველაფერს... შენობების ყველა სართულზე ფანჯრები გაიღეს, თითქოს დიდ მნათობს ეპატიჟებოდნენ: — მზევ, შინ შემოდი!

სულ მაღლა და მაღლა იწევდა საძირკველი. მალე კედლებიც შეაყენეს ზედ. ლამარა მამას რომ ჩაუვლიდა, აღარ იხედებოდა

ძირს, ამოთხრილი მიწის სიღრმეში; მამამისი მის პირისპირ კედელზე იდგა. ხედავდა ლამარა, თუ როგორი გულმოდგინებით აწყობდა მამამისი აგურს აგურზე, როგორ აკავშირებდა ერთმანეთთან ხის კოჭებს. ბევრნი მუშაობდნენ ამ შენობის ასაგებად, მაგრამ ლამარა მხოლოდ თავის მამას ხედავდა. მის თვალსა და მის გულში მხოლოდ მამამისი იყო მშენებელი, ღონიერი და ყველაფრის შემძლე.

— მამა, მამილო!—მერცხალივით შესჭიკჭიკებდა ლამარა მამას, თითქოს გაზაფხულს ახარებდა, და კვლავ სკოლისაკენ მირბოდა.

ერთ დილას ლამარა განცვიფრებული გაჩერდა ხარაჩოების წინ. თავისი კრიალა თვალები მიაშტერა დიდი ოთხკუთხი ქვებით აგებულ კედელს. ის წარბშეყრილი და ოდნავ ბაგეგახსნილი იცქირებოდა მაღლა.

— რა მაღლა ასულხარ, მამა?!—შეეკითხა აღტაცებული.

მაღლიდან მამის ღიმილი შუქივით გადმოიფრქვა. სიამაყე და სიყვარული გამოხატეს მისმა თვალებმა.

ლამარა პასუხს არ მოელოდა, არც ჩვეულებისამებრ გაქცეულა სკოლაში. ფიქრობდა: „კედელმა აიყვანა მამამისი ასე მაღლა, თუ მამამ აიყვანა ეს კედელი ამ სიმაღლეზე?!“

ახლა უკვე ნელი ნაბიჯით მიდიოდა სკოლისაკენ. გზადაგზა ყოველ მაღალ შენობას შესცქეროდა, ათვალიერებდა ხედა სართულებს, სახურავებს, ფიქრობდა, თუ როგორ აჰყავდათ ადამიანის მკლავებს ასე მაღლა ეს შენობები.

კვირა დილა გათენდა.

ხეხილთა ტოტებზე მზის სხივები, მწვანე ფოთლები და ბეღურები ერთად თამაშობდნენ. სხივები ბრწყინავდნენ და წკრიალებდნენ, ფოთლები ფერადად ციმციმებდნენ, ბეღურები კი ცქრიალით დაფრინავდნენ ტოტიდან ტოტებზე.

ლამარა აივანზე გამოვარდა, მასაც გაეთამაშნენ მზის სხივები. ისიც ჩიტს ჰგავდა, უმწიკვლოს, წარმტაცს... მაგრამ, არა მარტო ჩიტს. ფოთოლსაც ჰგავდა, მზის სხივსაც...

აივნიდან მშვენივრად მოჩანს მთელი რუსთავი...

ლამარა კარგა ხანს იდგა და ამშვენებდა მზეს, რომელიც ისე დაჰქათქათებდა, თითქოს იგი მისთვის გაჩენილაო...

— რას აკეთებ, ჩემო გოგონი?!—შეეკითხა აივანზე გამოსული მამა.

ლამარამ მამას ხელი ჩასჭიდა, იქვე საკარძელზე დასვა, თვითონ კალთაში ჩაუჯდა და შეეხვეწა:

— მიამბე, მამა, რისთვის აშენებთ ასე დიდ სახლებს. მოძიყევი, როგორ აშენებთ?!

ღიმილმა შეალამაზა მამის ტკბილმოუბარი ბაგეები, ღიმილი კი ადამიანის სახეს აკეთილშობილებს. იგი ბაგეებზე გამოხატული გულის ფიქრია.

— ძოგისმენია, ჩემო პატარავ, ორთქლმავლის გუგუნი, როდესაც იგი ველებზე, მთებსა და ტყეებში გარბის? მისი ფოლადის ბორბლები დღითა და ღამით ხმაურობენ ლიანდაგებზე... რკინით შემტკიცულ გემებზე შიშინებენ თუჯის უზარმაზარი ქვაბები. მინდვრებში გუგუნებენ ტრაქტორები და კომბაინები. გზატკეცილებზე დასრიალებენ ავტოები, ცაში დაქრიან ლითონის ფრინველები, ქარხნებსა და ფაბრიკებში შეუჩერებლად ბრუნავენ ჩარხები, ხმაურობენ დაზგები და გირაგები... იმ ორთქლმავლებს, იმ გემებსა და თვითმფრინავებს, იმ ლიანდაგებს, მანქანებსა და ჩარხებს ბევრი, ძალიან ბევრი თუჯი და ფოლადი სჭირდება.—ამ სიტყვებზე მამა გაჩუმდა და სახეში ჩააცქერდა თავის პატარა, ცნობისმოყვარე შვილს.

— მერე, მერე?!—მაშინვე შეეკითხა ლამარა.

— მერე, ჩემო გოგონი, აქ ჩვენ გამოვადნობთ ფოლადსა და თუჯს, ლითონის მდინარე წამოვა ცეცხლოვანი ღუმელებიდან და მთელს ჩვენს ქვეყანას ექნება ბევრი ფოლადი, ბევრი თუჯი!

— ნეტავ, რამდენი?!...

— ბევრი, ჩემო გოგონი, ძალიან ბევრი!.

— მითხარი, ჩემო მამილო, რამდენია ეს ბევრი?!

— შენ ვერ გაიგებ, ჩემო საყვარელო, ძალიან ბევრია!

— აკი დედამ თქვა, რაც ლამარას უნდა, იმას გაიგებსო, რაც არ უნდა, ის არ ესმისო! მაშ, თუ მეტყვი, მე მინდა და გავიგებ კიდეც!

— წელიწადში მილიონ ტონამდი თუჯი და ფოლადი...

— რამდენია მილიონი?!—მაშინვე შეეკითხა ლამარა, აღარ დააცადა მამას სიტყვის დამთავრება.

— აკი გითხარი, ვერ გაიგებ ძეთქი. იხწავლე, ჩემო გოგონი, და თავის დროზე ძიხვდები. ახლა წადი და ითამაშე. აგერ, შენი ტოლები ეზოში ბურთაობენ.

ლამარა აღარ შეეკამათა, გადმოხტა მამის მუხლებიდან და ფრთებშესხმულივით ჩაფრინდა ეზოში.

განვლო თვემ.

ერთ დღეს ლამარა სკოლიდან ბრუნდებოდა. ის გახარებული მიეშურებოდა იმ უბნისაკენ, სადაც მამამისი მუშაობდა. მას უნდოდა მამისათვის ეხარებინა, რომ დღეს მასწავლებელმა მილიონამდე დათვლა ასწავლა. ლამარამ ქშენით მიირბინა შენობასთან, შეხედა კედელს, მაგრამ მისმა თვალებმა ვეღარ იცნეს იგი. აიხედა უზარმაზარი კორპუსის მწვერვალისაკენ და დიდხანს დაჟინებით უცქეროდა.

ხარაჩოებს ხსნიდნენ. საბურავზე ცოცხალ ქანდაკებასავით იდგა მამამისი და ცალი ხელით მიუთითებდა, თუ პირველად რომელი ბოძი უნდა მოეხსნათ.

— მამაა!—რამდენადაც შეეძლო ხმამაღლა შესძახა ლამარამ და დაჟინებით მიაშტერა თვალი ლურჯ ცაზე შავად მოხაზულ მამის მოყვანილობას, მაგრამ ვერა, პატარამ ვერ მიაწვდინა მამას ხმა...

მამა კი იდგა მის მიერვე აგებული შენობის თავზე, გასცქეროდა მტკვარს, ხეობას, მთა-გორებს, შორეულ სივრცეს... და გულში უსიტყვოდ ამბობდა:

— ბედნიერი ვარ, ჩემო სამშობლოვ, მეც რომ ვმუშაობ შენი აღორძინებისათვის!

მერე სწრაფად შემოტრიალდა და ხარაჩოებით დაბლა დაეშვა. ძირს კი შვილი დაუხვდა, რომლის ბედნიერების საძირკველსაც ყრიდნენ მშობლები.

ᲦᲘᲦᲘᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ნახატები ა. გოგოლაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲯᲘᲛᲨᲔᲠᲘ

(ᲞᲝᲔᲛᲐ)

ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ ᲒᲖᲐ ᲐᲦᲘᲡ,
ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲘᲡ ᲚᲐᲑᲣᲐ.
ᲙᲐᲪᲘᲐ, ᲑᲘᲭᲘ ᲠᲝᲦᲘᲐ,
ᲕᲐᲰ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲘᲪᲜᲝᲡ ᲑᲐᲑᲣᲐᲛ?
ᲛᲮᲐᲠ-ᲑᲔᲭᲒᲐᲛᲚᲘᲚᲘ ᲕᲐᲣᲙᲐᲪᲘ
ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲣᲑᲚᲜᲐᲦᲐᲠᲘᲐ,
ᲙᲐᲪᲘᲐ, ᲑᲘᲭᲘ ᲠᲝᲦᲘᲐ,
ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲘᲐ.

ᲙᲝᲠᲓᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲬᲕᲐ ᲕᲐᲣᲙᲐᲪᲘ,
ᲘᲒᲝᲜᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲠᲐᲛ ᲘᲪᲘᲡᲐ,
ᲓᲐ ᲘᲒᲠᲫᲜᲝ ᲛᲙᲔᲠᲓᲖᲔ ᲡᲐᲐᲛᲝ
ᲡᲘᲗᲑᲝ ᲨᲛᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲘᲬᲘᲡᲐ.
ᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲚᲣᲚᲐ, ᲔᲡ ᲗᲕᲚᲔᲛᲐ
ᲔᲡᲝᲓᲔᲜ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲠᲐᲛ ᲘᲧᲝ,
ᲓᲐᲐᲒᲕᲘᲐᲜᲐ ᲨᲘᲜ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ,
ᲛᲖᲔ ᲛᲗᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲘᲧᲝ.

ᲙᲝᲠᲬᲘᲐ ᲝᲓᲔᲑᲡ ᲬᲘᲜ ᲣᲕᲚᲘᲡ
ᲞᲐᲠᲛᲐᲚᲘ ᲩᲣᲥᲣᲠᲗᲛᲘᲐᲜᲘ,
ᲓᲐᲑᲚᲐ ᲠᲘᲝᲜᲘ ᲩᲣᲮᲩᲣᲮᲔᲑᲡ
ᲛᲙᲕᲘᲠᲪᲮᲚᲘ ᲮᲛᲐᲝᲛᲐᲮᲘᲐᲜᲘ.
ᲙᲝᲑᲠᲘ, ᲚᲝᲥᲝ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲛᲐᲮᲘ,
ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ ᲖᲣᲗᲮᲘᲡ ᲑᲐᲓᲐᲚᲘ, —
ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲠᲒᲔᲑᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲐᲡ
ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲣᲮᲕᲘ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘ.
ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲓᲦᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲚᲐᲑᲣᲐ,
ᲛᲔᲗᲔᲕᲖᲔ ᲑᲘᲭᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ?
ᲓᲐ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲤᲘᲥᲠᲛᲐ ᲑᲐᲑᲣᲐ
ᲛᲗᲔᲑᲡ ᲘᲥᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲢᲐᲠᲐ.
ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲘᲘᲦᲝ
ᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲗ,
ᲩᲐᲣᲥᲠᲐ ᲛᲝᲮᲣᲪᲡ ᲡᲮᲘᲕᲘ ᲓᲐ
ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲗᲖᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲜᲐᲗᲘᲡ.
ᲛᲮᲝᲚᲝᲓᲦᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲜᲣᲒᲔᲨᲐᲓ
ᲮᲛᲐ, ᲡᲣᲚᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲘ:
„ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ
ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ“.

ᲑᲐᲑᲣᲐ ᲯᲘᲛᲨᲔᲠᲡ ᲘᲐᲛᲐ
ᲓᲘᲚᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲕᲔᲑᲨᲘ,
ᲐᲓᲒᲐ, ᲧᲐᲕᲐᲠᲯᲔᲜᲡ ᲓᲐᲔᲧᲠᲓᲜᲝ,
ᲤᲔᲮᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ.
ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ
ᲙᲝᲮᲢᲐ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ — ᲝᲓᲘᲡᲘ,
ᲐᲥ ᲓᲐᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲝ, ᲑᲐᲑᲣᲐ,
ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲝᲮᲣᲪᲡ ᲑᲝᲓᲘᲨᲘᲗ.
ᲓᲐ ᲙᲐᲙᲚᲘᲡ ᲫᲘᲠᲐᲡ ᲛᲓᲔᲚᲝᲖᲔ
ᲤᲐᲠᲗᲔ ᲭᲘᲚᲝᲑᲘ ᲒᲐᲨᲐᲚᲐ,
ᲖᲔᲓ ᲛᲣᲗᲐᲥᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲘᲨᲘ...
ᲛᲝᲮᲣᲪᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲪᲐᲚᲐ,
ᲛᲝᲐᲠᲑᲔᲜᲘᲜᲐ ᲡᲣᲤᲠᲐ ᲓᲐ
ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲑᲠᲭᲧᲕᲘᲐᲚᲐ,
ᲡᲐᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲡᲔᲑᲘ
ᲡᲣᲤᲠᲐᲖᲔ ᲓᲐᲐᲬᲙᲠᲘᲐᲚᲐ.
ᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ,
ᲛᲭᲐᲓᲔᲑᲘ ᲙᲔᲪᲖᲔ ᲓᲐᲛᲪᲧᲕᲐᲠᲘ,
ᲭᲧᲘᲜᲢᲘ ᲧᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲘᲚᲘ,
ᲬᲘᲬᲘᲚᲐ ᲙᲔᲪᲖᲔ ᲨᲔᲛᲬᲕᲐᲠᲘ.

ᲑᲐᲑᲣᲐ ᲯᲘᲛᲨᲔᲠᲡ ᲐᲛ ᲓᲘᲚᲘᲗ
ᲘᲡᲔᲕ ᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ;
„ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲛᲘᲮᲛᲝᲑᲡ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲪᲡ,
ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲬᲕᲘᲐ...
ᲐᲥ ᲓᲐᲯᲔᲥ, ᲨᲕᲘᲚᲝ ᲝᲓᲘᲡᲘ,
ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ,

მწუხრის ქამს შვილს რომ ეტყოდა
ძველთაგან ანდერძს ქართველი.
თავისუფლების ნათელი
ჩვენს ეზოებს რომ ჰფენია,
ოვერთა მიწას ამრიგად
აროდეს მოულხენია.
ომი დამთავრდა, ღაბუა
არ დაბრუნდება აწ შინა.
ყეთილხსენება გმირებს, ვინც
სამშობლო გადაარჩინა!

ასე ყოფილა, ასეა
სიკვდილ-სიცოცხლის ზღაპარი,
წვა-დაგვით გამომივლია
ოთხმოცდაათი ზამთარი.
ახლა ესღა მაქვს სადარდო,
რომ გამყვეს გრძნობა ნათელი:
არ წაიშალოს ეს კერა
და შვილიშვილის სახელი.
ხუთი წელია მარტოხელს
თავზე ბევლები, ნეტა რად?
პატარა იყავ, დაქალდი,
დღე გაგიგრძელდეს ნეტარად.
კომკავშირელის სინდისი
ამ სახლში მოგიტანია,
აქ უნდა დარჩე... ამაზე
ვიფიქრე კარგახანია:
აწ აღარ ველი ჩემს ვაჟკაცს,
ალბათ განგებას ეს სურდა..." —
თქვა მოხუცმა და თვალებზე
ცრემლები გადმოუცურდა.
ღაბუას ნაცვლად ვინც გინდა
ამოირჩიე, მომგვარე,
თუ ვინმე დარჩა სოფელში
ჩვენი ოჯახის მოგვარე". —
კიდევ უნდოდა სხვაც ეთქვა
და კიდევ ერთხელ ეტირნა,
მაგრამ ჭიშკარის ჭრიალმა
ამბავი შეაწყვეტინა.
წამოიშალნენ სუფრიდან,
სტუმარი მოსვლას იჩქარის.
თვალებს იჩრდილებს მოხუცი,
შორს არის ეზოს ჭიშკარი.
„არმიელია, მედლებით,
ალბათ, გზად ამონარები,
იქნებ ამბავი რამ მოაქვს
ღაბუას დანაბარები?"
გოგონას სტუმრის დანახვამ
თვალები აუმაისა...
„უთუოდ კარგის მთქმელია,
რატომ იქნება ავისა".
წინ მიეგება მომავალს
ოდისი ბაგემღიმარი,
ქალი ლერწამი ტანისა,
სახე მთვარისა სადარი.
ჰკადრა: — მობრძანდით!
და ყურშა
გადააყენა განზედა,
ყეფა-წკმუტუნი რომ მორთო
ამ სტუმრის დანახვაზედა.

ვაუმა ქალს მზერა შესტყორცნა,
არ შედგა, არა უთხრა რა,
ბაბუა ჯიმშერს გადეჭდო,
გადაუკოცნა ჭადარა.

„შვილო, მზე მკრთალად მინათია,
ვერ ვუძლებ ცრემლთა დენასა,
მითხარ, ვინა ხარ, საიდან
მოსულხარ შენსა ლხენასა?
შეტოკდა გული ვაჟკაცის,
ისევ ჩაეკრა ბაბუას
და თრთოლვით უთხრა: „ვერ მიცან?
შენი ბიჭი ვარ ღაბუა!"

ნინო ალნიაშვილი

ნახატები გ. ჩირიმაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ ქრეზე

ჩემი პატარა მეგზური გამიძღვა კორდიაკენ, სადაც მიჯრით დგანან მაღალი ალვის ხეები.

— აი, იქ მარხია ჩემი ამხანაგი ადო, — ნაღვლიანი სახით მითხრა ბავშვმა. ცოტა ხნის შემდეგ მთის ყვავილებით შემკობილ საფლავთან ვიდექით ორივენი.

მე დიდხანს ვისმენდი მის ნაამბობს...

შუაღამე გადასულიყო. ბნელი და ცივი ღამე იყო.

შემზარავმა გრიალმა შეარყია მიწა. გერმანელთა ბუნაგში საშინელი აურზაური ატყდა. ღრიალით აწყდებოდნენ გალეშილნი ერთმანეთს, ბნელში თავისიანებს ვეღარ არჩევდნენ, უმიზნოდ ისროდნენ.

ისმოდა დაჭრილების ყვირილი, მომაკვდავთა ხროტინი.

გათენებისას ზარის გუგუნმა შეარყია გათოშილი ჰაერი. ეს გერმანელები მოუწოდებდნენ გლეხებს. მალე ჯარისკაცებიც გაჩნდნენ ეზოებში მათრახებით.

ხალხმა მოგროვება იწყო... მოდიოდნენ მძიმედ, თავჩაღუნულნი, შურისძიებით აღსავსენი.

პარტიზანებს ორმოცამდე გერმანელი გაეჟლიტათ, მათ შორის დაბალი, ჩასუქებული უნტერ-ოფიცერი, რომელსაც გლეხებმა „ობობა“ შეარქვეს სისხლის სიყვარულისათვის. ის შეუბრალებლად აწამებდა მოხუცებს, ბავშვებს, ქალებს.

როცა თითქმის ყველანი მოგროვდნენ, აივანზე გადმოდგა მრისხანე კაპიტანი. იგი ხელში მათრახს ნერვიულად ათამაშებდა.

— როგორცა ჩანს,—დაიწყო მან, — თქვენზე ვერავითარი ზომები ვერა ჭრის. წუხელ პარტიზანების მიერ დაიღვარა გერმანიის არმიის მშვიდობიანი ჯარისკაცების უწმინდესი სისხლი. ამიტომ ვბრძანებ: დაუყოვნებლივ გამოცხადდეს გამყოლი, რომელიც გვიჩვენებს პარტიზანთა სამყოფელს.

ზეთიან თვალებში დამცინავი ღიმილი ჩაიყენა და სახრჩობელაზე მიუთითა.

— ხომ იცით, რა მოგელით? სახრჩობელები!

ცოტა ხანს გაჩერდა, თითქოს თავისი რიხიანობით თვითონვე ტკბებაო, და გესლიანად გაიმეორა: სახრჩობელები! გაძლევთ ოც საათს—დილამდე. თუ თქვენგან არავინ გამოგვყვება პარტიზანთა ბუნაგის საჩვენებლად, სამოც მძევალს ჩამოვახრჩობ, ხოლო სოფელს გადავბუგავ!

მან თავმომწონედ გადახედა ხალხს და დეზების ჩხარუნით ოთახში შევიდა.

ხალხი გაქვავებული იდგა.

დედები გულში იკრავდნენ შვილებს, მოხუცებს მაგრად ჩაევლოთ ხელი ჯოხებისათვის, გაქვავებულებივით იდგნენ ხვალინდელი სისხლიანი დღის მოლოდინში, რადგან იცოდნენ, რომ მხეცი კაპიტანი ქადილს ასრულებდა.

იქნებ კიდევ დიდხანს ყოფილიყვნენ გაშეშებული ერთ ადგილას, რომ კაპიტანს არ ებრძანებინა დაშლილიყვნენ.

მძიმე იყო ხვედრი ხალხისა, რომელსაც აუტანელ არჩევანს სთავაზობდნენ.

პაპა ურაზმაგი ბუხრის წინ იჯდა. ბუხარში ცეცხლი გამქრალიყო... ქოხში ბნელოდა, თუმც სულერთი იყო ურაზმაგისათვის, დიდი ხანია მისთვის დღეცა და ღამეც ერთნაირად ბნელოდა.

იჯდა მოხუცი და ფიქრობდა... ფიქრობდა შავბნელ დღეებზე, როცა სიკვდილის ცელით მოვიდნენ გერმანელები.

იქნებ გამოჩნდეს ვინმე სულმდაბალი და გასცეს პარტიზანები?!

მისი ორი მდევრვით ვაუკაცი შვილი პარტიზანებად იყო წასული.

უფროსი მეთაური იყო. უმცროსი კი... ოჰ, ახლაც ყურებში უდგას უმცროსი შვილის სულთის ღმუილი, რომელიც შემთხვევით შეიპყრეს გერმანელებმა. ცეცხლით, ხიშტით, შანთებით აწამებდნენ მამის თვალწინ. იმ დღეს დაბნელდა მისთვის სამუდამოდ...

ველარაფერს ხედავდა და შვილის ღმუილით გაოგნებულმა ტუჩი მოიჭამა. ბოლოს ძიწყდა შვილის ხმა. ის მოკვდა. გერმანელმა მხეცებმა ნაწამები გვამი ხრამში გადააგდეს. მამას დიდხანს არ აძლევდნენ ნებას დაემარხა შვილი.

შვილიშვილმა მიიყვანა უსინათლო მოხუცი შვილის გვამთან. მან საკუთარი ხელით გაუთხარა საფლავი.

ფიქრობდა მოხუცი, ფიქრობდა და ცრემლი ეჟურებოდა უსინათლო თვალებიდან.

კარებიდან შემოჭრილმა სიციცემ გამოაფხიზლა მოხუცი. ქოხში ცამეტი წლის ბიჭი შემოვიდა.

— ნუთუ ყველას ჩამოახრჩობენ პაპა-ჩემო!—შეეკითხა მას ადო.—როდემდის უნდა ხოცონ, პაპა, ხალხი! მე ძიასულთი დამავიწყა ბავშვების ტირილმა. ხვალ სამოცს ჩამოახრჩობენ, ზეგ... მაზეგ...—ბიჭი აღელვებული ლაპარაკობდა, თვალები ფართოდ გაეხილა, ქშინავდა.—მე იქ, ტყეში, ბიძია სულთის გვამთან ფიცი დავდე სამაგიერო გადამეხადა მისი წამებისათვის.

— შენ პატარა ხარ, შვილო, მამაშენი გადაუხდის მათ ყველაფრისათვის.

შუაღამე დიდიხნის გადასული იყო, დასაძინებლად დაწვნენ. ქოხში სიწყნარემ დაისადგურა, თუმცა იმ ღამეს არც მოხუცს და არც ბავშვს არ დასძინებიათ.

კაპიტანი ჯერ კიდევ დიდხანს აპირებდა ლოგინში ნებივრობას, რომ ადიუტანტმა მოახსენა გამყოლი მოვიდაო.

კაპიტანი არ მოელოდა ამას ამ ურჩი, გაუტეხავი ხალხისაგან. სწრაფად წამოდგა, ჩაიცვა და კაბინეტში გავიდა.

იგი გველის თვალებით აკვირდებოდა ბავშვის სახეს, თითქოს უნდოდა მის სახეზე სულ სხვა რაღაცა ამოეკითხა. ბავშვი დიდი ნებით მოითხოვდა გაჰყოლოდნენ, ახლოდ საბადლოდ ის სამოცი მძევალი გაათავისუფლეთო, დაუყოვნებლივ.

კაპიტანი დიდხანს სცემდა ბოლთას, ფიქრობდა. შემდეგ ბავშვს რამდენიმე შეკითხვა მისცა და კმაყოფილმა, რომ ბოლოსა და ბოლოს შესძლებს პარტიზანთა ხელში ჩაგდებას, ბრძანა მომზადებულიყვნენ.

ათი საათისათვის ყველაფერი მზად იყო.

ასამდე ჯარისკაცი ისე თეთრად შენიღბულიყო, როგორიც ის ქილა იყო.

ქოხებიდან არავინ გამოსულა.

ცოტა ხნის წინათ გაიგო მხოლოდ პაპა ურაზმაგმა ეს ამბავი. პატარა ალემ შეატყობინა—ადო გერმანელებთან მივიდაო. მოხუცი გაშრა... ძლივს მიხოხდა ტახტთან გულდამეხილი, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

როცა ჯარისკაცები ქოხს გაუსწორდნენ, დერეფანში მოხუცის ახოვანი ტანი წამოიმართა, აკანკალებული ხელით ჯოხი ჰაერში ხსწია და სიჩუმეში მჭახედ იგრგვინა: — წყეულიმც იყავ, წინაპრების საფლავიდან ამომგდებო, მამის შემარცხვენელო!

ადო დაბარბაცდა, თავი ჩაკიდა, ხოლო როცა რაზმმა სოფელი გაიარა, ბავშვმა უკანასკნელად მიხედა სოფელს და ისე ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოატანაო.

როცა გერმანელები ვიწრო ხევს გასცდნენ, ქარმა იმატა. სიარული გაჭირდა.

დიდი ხანია, რაც მიდიან კი არა, მიფოფხავენ ამ „დაწყევლილ“ კლდე-ღრეებში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი ხშირად ეკითხებოდა ადოს, მალე მივალთ თუ არაო...

ქარი თანდათან უფრო ანჩხლობდა, ჭირვეულობდა, თითქოს არ უნდოდა თავის სპეტაკ სამფლობელოში შემოეშვა ეს უწმინდურები. სახეში სცემდა, სუნთქვას უკრავდა თითოეულს.

კაპიტანმა ბუდეში რევოლვერი მოსინჯა.

— კიდევ დიდხანს ვივლით, ეშმაკის კერძო?

— წინ! კაპიტანო, წინ!—ძლივს ისმოდა ქარის ღრიალში ადოს ხმა, და ხელი გორეგისაკენ გაიშვირა.

უკვე ბინდდებოდა, როცა ამ მაღალ კლდეებზე პატარა მინდორი გამოჩნდა. ჯარისკაცები ლასლასით მიდიოდნენ, ეცემოდნენ, ძლივს მიათრევდნენ ხელის ტყვიამფრქვევს. ქარი ღმუოდა, კვნესოდა, თოვლის კორიანტელს ჰაერში ატრიალებდა.

კაპიტანი ფეხზე ძლივს იდგა, ბავშვისთვის ხელი ჩაევლო. იგი დარწმუნდა მის ეშმაკობაში: დასაღუპად გამოიტყუა ამ მიუვალ კლდეებში. ადო ძლივსღა ჩურჩულებდა:—აი, იქ, კაპიტანო... პარტიზანები იქით შორს...—ველარ დაამთავრა სიტყვა, რომ ყრუდ გაისმა სროლა—ერთი, ორი, სამი... ბავშვი მოჭრილ ტოტივით ჩაეცა თოვლში.

ქარმა თოვლის სვეტები ჰაერში აიტაცა, გაშმაგებული ეძგერა ჯარისკაცებს, ერთმანეთს ახლიდა, თოვლისა და ყინულის ნატეხებს აყრიდა სახეში. ჯარისკაცები ფეხზე ველარ დგებოდნენ, ირგვლივ აღარაფერი ჩანდა... ბნელდებოდა.

შუაღამემდე გაგრძელდა ადამიანებისა და ქარის ბრძოლა.

ბოლოს ქარმა გაიმარჯვა. ქარი ჯერ ისევ ბობოქრობდა სანამქრეზე, შურისძიებით გაავებული ადამიანები კი აღარსად ჩანდნენ. მერე, თითქოს შეეზიზღაო ისინი, უნდოდა თვალიდან მოეშორებინა, თოვლის სქელი საბურველი გადააფარა.

ერთი კვირის შემდეგ წითელმა არმიამ და პარტიზანებმა სოფელში სიხარული შემოიტანეს. ადოს მამამ მდუმარედ მოისმინა პაპა ურაზმაგის ნაამბობი. მეორე დღეს პატარა თავდადებულის გვამი სოფელში ჩამოასვენეს. ბავშვს ტყვია შუბლში მოხვედროდა. ყველამ მუხლი მოიყარა პატარა გმირისაკენ. მამა დაიხარა, შვილის გათოშილ სხეულს ეამბორა. მერე მდუმარემ აიყვანა ხელში, გულთან მიიკრა, თითქოს უნდა თავისი სითბო ჩაუყენოსო სხეულში.

— რამოდენა გაზრდილა ჩემი ბიჭიკო... შენ უფრო დიდი გმირი ყოფილხარ, ჩემო ვაჟკაცო...

ქალები ქვითინებდნენ, პაპა ურაზმაგი ხელებს უთათუნებდა გაყინულ სახეზე. საფლავი სოფლის თავში გაუთხარეს, კორდზე, სადაც მიჯრით დგანან მაღალი ალვის ხეები.

ყოველ წელიწადს, გაზაფხულზე, როცა ბუნება იღვიძებს, მთები აზურმუხტდებიან, ხეები სიცოცხლეს კვირტებში ჩაიყენებენ, პატარა გმირის საფლავზე ამოვლენ მწყემსნი სალამურებით და იტყვიან სიმღერებს ბრძოლისას და გამარჯვებისას, სიკვდილისა და სიცოცხლისას.

მგზნებარე ბოლშევიკი

1886 — 1937

უერთგულესი რევოლუციონერი — ასე უწოდა დიდმა ლენინმა ქართველი ხალხის სახელოვან შვილს სერგო ორჯონიკიძეს, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიასთან.

15 წლის ჭაბუკი იყო სერგო, როცა რევოლუციურ მუშაობაში ჩაება. აქედან დაწყებული ათეული წლების მანძილზე იგი იბრძოდა მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის. მტკიცე ბოლშევიკს ვერ აშინებდა ციხეები და გადასახლება. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით რაზმავდა მასებს ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის დღეებში სერგო პეტროგრადის მუშებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლებში.

ჩვენი ქვეყანა სერგოს იცნობს, როგორც მამაცსა და ბრწყინვალე მხედართუფროსს. სამოქალაქო ომის წლებში იგი წითელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მშენებელი იყო. სერგო უშუალოდ მონაწილეობდა და პირადად ხელმძღვანელობდა უცხოელი ინტერვენტებისა და რუს თეთრგვარდიელთა ურდოების განადგურებას უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ამიერკავკასიასა და საქართველოში.

1930 წლიდან სერგო ორჯონიკიძე სათავეში ჩაუდგა ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობას. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით და სერგოს ყოველდღიური დახმარებით ბოლშევიკურმა პარტიამ წარმატებით გადასჭრა ჩვენს ქვეყანაში მოწინავე სოციალისტური ინდუსტრიის შექმნის უძნელესი ამოცანა. პირველი სტალინური ხუთწლედების მანძილზე სერგო იყო ჩვენი მრეწველობის ტექნიკური პროგრესის მედროშე. მან ყოველმხრივ ხელი შეუწყო აგრეთვე სტაახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლასა და ღრმად დანერგვას.

სერგო იყო საბჭოთა ახალგაზრდობის მზრუნველი მეგობარი და მასწავლებელი. ჩვენმა ნორჩმა თაობამ და ახალგაზრდობამ არასდროს არ უნდა დაივიწყონ სერგოს სიტყვები: „...წუთითაც არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, წუთითაც არ უნდა ვიყოყოჩოთ, რადგან ყოყოჩობა, ამხანაგებო, მხოლოდ უმეცრების გამოხატულებაა“.

სერგო ორჯონიკიძე გარდაიცვალა ათი წლის წინათ—1937 წლის 18 თებერვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორის მუსიკალური თარიღები

„ევგენი ონეგინისა“ და „ივან სუსანინის“ ავტორები

ლაპარაკობდა რა რუსი ერის სიდიადეზე, დიდმა სტალინმა იმ სახელოვან ადამიანთა შორის, რომლებიც რუსეთის მსოფლიოს დიდებას წარმოადგენენ, დასახელა გენიალური პოეტი ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინი და გენიალური მუსიკოსი მიხეილ ივანეს-ძე გლინკა.

ა. პუშკინი
1799 — 1837

მ. გლინკა
1804 — 1857

დიდი რუსი ხალხის კულტურის ისტორიაში პუშკინისა და გლინკას სახელები ერთად არის მოხსენებული. პირველის მოღვაწეობამ ახალი ეპოქა შექმნა რუსული ლიტერატურის განვითარებაში. მან იგი გაამდიდრა ხალხური შემოქმედების უშრეტი განძით. პუშკინმა შეითვისა დასავლეთ ევროპისა და რუსული პოეზიის საუკეთესო მიღწევები, კრიტიკულად გადაამუშავა ისინი და გიგანტურად წინ წასწია რუსული ლიტერატურა. მან დაამთავრა რუსული ლიტერატურის ენის ჩამოყალიბება. პუშკინმა, როგორც მასზე მაქსიმ გორკიმ თქვა,—„თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ურყევი საძირკველი ჩაუყარა ყველაფერს, რაც მან მემკვიდრეობად დატოვა რუსული ხელოვნების დარგში. უპუშკინოდ დიდხანს არ იქნებოდნენ გოგოლი... ლევ ტოლსტოი, ტურგენევი, დოსტოევსკი. რუსეთის ყველა ეს დიდი ადამიანი პუშკინს თავიანთ სულიერ წინაპრად თვლიდნენ“.

ანალოგიური როლი შეასრულა რუსული მუსიკის ისტორიაში გლინკამ. მან შეჰქმნა რუსული ნაციონალური მუსიკა. იგი ბრწყინვალედ დაეუფლა მუსიკალურ ოსტატობის მწვერვალებს და მტკიცე საძირკველი ჩაუყარა რუსული მუსიკის შემდგომ განვითარებას. გლინკამ მთელ მსოფლიოს უჩვენა რუსული, უკრაინული და აღმოსავლური სიმღერის განსაკუთრებული სილამაზე და მათში აღმოაჩინა უშრეტი შემოქმედებითი წყარო რუს მუსიკოსთა შემდგომი ყველა თაობისათვის. რუსული მუსიკალური ენის შემქმნელი გლინკა აგრეთვე იყო რუსული ოპერისა და სიმფონიის ფუძემდებელი. პუშკინზე თქმული გორკის სიტყვებით თუ ვიტყვით, უგლინკოდ რუს ხალხს დიდხანს არ ეყოლებოდა დარგომიჟსკი, მუსორგსკი, ბოროდინი, ჩაიკოვსკი და რიმსკი-კორსაკოვი.

მეგობრულ ურთიერთობაში მყოფ პუშკინსა და გლინკას ბედში მრავალი რამ იყო საერთო. ორივე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის შავბნელ ეპოქაში, როცა რუსული კულტურის ბედ-იღბალს მეფის ჟანდარმები განაგებდნენ. მეფესა და მაღალ წრეს სძულდათ პუშკინი და გლინკა. თავისუფლად მოაზროვნე პოეტს აწამებდნენ გადასახლებაში, უკრძალავდნენ ლექსების წერას, სინამდვილის მართალ აღწერას და, ბოლოს, მოჰკლეს კიდეც.

როგორც პუშკინის პოეზია, ისე გლინკას მუსიკა უარყოფილ იქნა სასახლისა და მაღალი წრის მიერ, რადგან გლინკას ხალხურ მუსიკაში ისინი ხედავდნენ მგზნებარე სულს რუსი ადამიანებისა, რომლებიც მუდამ იყვნენ თავისუფლებისმოყვარული დევგმირები. არისტოკრატიამ გლინკას მუსიკას „მეეტლეების“ მუსიკა უწოდა, ხოლო გენიალური ოპერა „ივან სუსანინი“ შეაფასა როგორც სისულელე და მიქარვა. გლინკას სძულდა მაღალი წრე, და მათგან დევნილი მუსიკოსი წერდა: „მე წამართვეს ყველაფერი, ჩემი ხელოვნებისადმი ენტუზიაზმიც კი...“

გლინკამ პუშკინის ნაწარმოებთა ტექსტზე დასწერა ოპერა „რუსლან და ლუდმილა“ და მთელი რიგი შესანიშნავი რომანსები.

10 თებერვალს შესრულდა 110 წელი პუშკინის გარდაცვალებიდან, ხოლო 15 თებერვალს 90 წელი გლინკას გარდაცვალებიდან.

„დევიდ კოპერფილდის“ ავტორი

დიდმა ინგლისელმა რეალისტმა მწერალმა ჩარლზ დიკენსმა თავის შემოქმედებაში ფართოდ ასახა მისი დროის ინგლისის ყოფაცხოვრება. დემოკრატიულად განწყობილი მწერალი შესანიშნავად ხედავდა, თუ როგორ სტანჯავდნენ და ჭყლეფდნენ ხალხთა ფასებს გაბატონებული კლასები. მის აღშფოთებას იწვევდა მუშების შრომის არაადამიანური პირობები. მან გამანადგურებლად გააკრიტიკა ბავშვების აღზრდის მაშინდელი მეთოდები.

ჩ. დიკენსი
1812 — 1870

დიკენსი თავის მოვალეობად თვლიდა ყოფილიყო უბრალო ხალხის დამცველი და მსახური, და კიდეც ასრულებდა ამას. თავის მხრივ ხალხსაც დიდად უყვარდა იგი. ინგლისის ქალაქებში მწერალი კითხულობდა თავის ნაწარმოებებს, რაც ფართო მასების ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენდა. მის წარმატებებს განსაკუთრებით ხელს უწყობდა ბრწყინვალე არტისტული ნიჭი.

მისი რომანები—„ოლივერ ტვისტის თავგადასავალი“, „ნიკოლას ნიკლბი“, „დევიდ კოპერფილდი“, „სიძველეთა სავაჭრო“, „დომბი და მისი ვაჟი“, „პაწაწა დოროტი“ და სხვები გამსჭვალულია ადამიანობის მაღალი გრძნობით. ისინი თარგმნილია ევროპულ ენებზე და ყველა კულტურული ადამიანის საყვარელი წიგნებია.

დიკენსის მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს ახასიათებს ჯანსაღი ოპტიმიზმი, ადამიანის ძალისადმი ღრმა რწმენა, მათ აგრეთვე ახასიათებთ წარმტაცი სიუჟეტი, ხალასი ჰუმორი და სატირა. ყოველივე ამის გამო ისინი განსაკუთრებით უყვართ ახალგაზრდებს.

7 თებერვალს შესრულდა 135 წელი ჩ. დიკენსის დაბადებიდან.

გენიალური გამომგონებელი

არაა მსოფლიოს ისეთი კუთხე, სადაც ოდნავ კულტურულ ადამიანსაც კი არ გაეგოთოს, თუ ვინ არის ედისონი. ეს იმიტომ, რომ არაა მსოფლიოს არც ერთი კუთხე, სადაც არ იყოს ელექტრონათურები, ელექტროგანათების ქსელი, მიკროფონი, გრამაფონი, მეგაფონი (ხმამაღლა მოლაპარაკე), ელექტრობატარეა, ტელეგრაფი, ტელეფონი, გაუმჯობესებული დინამო მანქანა, ფონოგრაფი, კინემატოგრაფი,

1847

ტ. ედისონი
1847 — 1931

და მრავალი სხვა ტექნიკური მიღწევა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თანამედროვე კულტურული ცხოვრება. ყველაფერი ეს უშუალოდ გამოგონილია ან გაუმჯობესებულია გენიალური ამერიკელი გამომგონებლის ტომას-ალვა ედისონის მიერ, რომელიც დაიბადა 100 წლის წინათ—1847 წლის 11 თებერვალს.

ტელეფონი, როგორც ცნობილია, გამოიგონა ამერიკელმა ალექსანდრ გრაჰამ ბელმა, მაგრამ ეს გამოგონება არ იყო სრულქმნილი. იგი გაუმჯობესა და სრულქმნა ედისონმა. მან აგრეთვე თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო რუსი გამომგონებლის ლოდიგინისა და იაბლოჩკოვის იდეა ელექტროგანათებისა და ვარვარნათურათა შესახებ და უდიდესი ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად დამოუკიდებლად გააკეთა ელექტროვარვარნათურა, რომელიც ძირითადად ისეთი იყო, როგორიცაა თანამედროვე ელნათურები.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ედისონის სიტყვები, „რომ ცხოვრების შინაარსი მდგომარეობს შრომაში, ბუნების საიდუმლოებათა გამოცნობასა და ადამიანთა ბედნიერებისათვის მათ გამოყენებაში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენტინ კატაევი ნახატები პ. გიორგაძეშვილისა

პოლკის შვილი

ვალენტინ კატაევი საბჭოთა ხალხის საყვარელი მწერალია. მას ახლახან 50 წელი შეუსრულდა დაბადებიდან.

ვალენტინ კატაევის სახელი ფართოდაა ცნობილი. ძისი მშვენიერი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს ყველა ენაზე. მისი წიგნები ყოველთვის უზარმაზარი ტირაჟით გამოდის.

ვალენტინ კატაევის შესანიშნავ წიგნებს შორის აღსანიშნავია მის მიერ უკანასკნელად დაწერილი მოთხრობა „პოლკის შვილი", რაშიც მას სტალინური პრემია მიეკუთვნა.

ამ მოთხრობაში ვალენტინ კატაევი გვიამბობს თორმეტი წლის ბიჭუნას ვანია სოლნცევის თავგადასავალს. ვანიამ დიდი სამამულო ომის დროს მშობლები დაკარგა. ის გამოექცა გერმანელებს, დიდხანს იხეტიალა ტყესა და ღრეში მშიერ-მწყურვალმა და ჩამოძონძილმა. ბოლოს მას წააწყდნენ ჩვენი ჯარის მზვერავები. მოეფერნენ და მოუალერსეს გამწარებულ ბიჭუნას წითელმა მებრძოლებმა. პოლკის შვილი გახდა იგი, მას საარტილერიო საქმე შეასწავლეს. საბჭოთა არტილერისტებთან ერთად ვანიამ მონაწილეობა მიიღო წითელი ჯარების ძლევამოსილ წინსვლაში. ვანია ისე ცხოვრობდა, როგორც მებრძოლი არტილერისტები, იზიარებდა მათ ჭირსა და ლხინს, მათთან ერთად გაისროლა პირველი ყუმბარები ბერლინის დასათრგუნავად.

ვალენტინ კატაევმა ამ მოთხრობიდან პიესა გააკეთა რამდენიმე სცენად, რომლის თარგმანს ვბეჭდავთ ჟურნალის ამ ნომერში.

სცენები პიესიდან

მომქმედი პირნი:

ვანია სოლნცევი	სამხედრო ექიმი ქალი
ენაკიევი	მოძრაობის მომწესრიგებელი ქალი
ბიდენკო	მფრინავი
ვოსკრესენსკი	ქვეითი
კოვალიოვი	მესანგრე
მატვეევი	მეკავშირე, ოფიცერი

სურათი პირველი

გზატკეცილი. მოძრაობის მომწესრიგებლის საგუშაგო. საგუშაგოს ჯიხურის მახლობლად სხედან მფრინავი, მესანგრე და ქვეითი, რომლებიც ელოდებიან თანამგზავრ ავტომანქანას. ღამდება. შორს ისმის საარტილერიო სროლის ხმა.

მესანგრე—(წერილს წერს და მღერის. ხმირი სროლის ხმა. დააყურებს, ჩაილაპარაკებს)—ვუტეევი!

ექიმი (შემოდის)—გამარჯობა, ამხანაგებო!

ხმები—გაგიმარჯოთ! კარგად ყოფნას გისურვებთ!

ექიმი—ეს რაა, ყველანი მანქანას ელოდებით?

ქვეითი—ნამდვილად ავრეა. მგზავრები ვართ, დაბრძანდით, ამხანაგო ექიმო!

ექიმი—გმადლობთ (ჯდება). რატომ არ ჩანან გზატკეცილზე მანქანები?

მომწესრიგებელი — მეთვრამეტე კილომეტრზე მდინარის ხიდი დაბომბეს და იმას აკეთებენ.

ექიმი—დიდხანს მოუნდებიან ხიდის შეკეთებას?

მომწესრიგებელი—20 წუთში დაამთავრებენ. მოითმინეთ.

მფრინავი — ბევრჯერ გვსმენია ეს დაუსრულებელი 20 წუთი. ეშმაკმა წაიღოს! დილამდე უნდა მოვასწრო ფრონტის შტაბში მისვლა და უკან დაბრუნება. ყოველი საათი ძვირად მიღირს. ხომ შეიძლება ამასობაში დასავლეთისაკენ გადაგვიყვანონ—მოდი მაშინ და ეძიე შენი აეროდრომი.

ქვეითი—შეტევის დროს მუდამ ასეა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ნაწილს წუთით მოსწყდე, მერმე ვედარ დაეწევი.

მესანგრე—პირადად მე მიყვარს, როცა უტევენ.

მფრინავი—(მესანგრეს) დიდი ხანია მოწინავე ხაზიდან ხართ წამოსული?

მესანგრე—გუშინ წამოვედი.

მფრინავი—რა ამბავია იქ?

მესანგრე—ჩვენს ტუბანზე მთელი ძალით ვუტევთ, წინ მივიწევთ, დღეში 15 კილომეტრს გავდივართ.

მომწესრიგებელი — ამხანაგო ქირურგო! ნება მომეცით ჩემი მაზარა დაგიფინოთ (უფენს).

ექიმი—გმადლობთ. სამი ღამეა თვალი არ შომიხუჭავს.

შემოდიან ბიდენკო და ვანია.

ბიდენკო—რა მოხდა იქ? რატომ არ არის გზატკეცილზე მოძრაობა?

მომწესრიგებელი—მეთვრამეტე კილომეტრზე ხიდია დაბომბილი. აკეთებენ. დასხედით. დაისვენეთ. მოითმინეთ.

ბიდენკო—მოითმინეთო! (ვანიას) შენი ბრალია ყველაფერი ეს, აი, ნახე, თუ დალამებამდე არ მოგვიწიოს აქ ყოფნა. რა უნდა გიყო ახლა?

ვანია—ყველაფერს სჯობს დაბრძანდეთ, დაიძინოთ.

ბიდენკო—დავიძინო? ვერ მოგართვი! როგორც ბატყობ, ძალიან ეშმაკი ხარ.

ვანია—რატომ ვარ ეშმაკი?

ბიდენკო—იმიტომ, რომ დავიძინებ თუ არა, გაიპარები.

ვანია—არ გავიპარები, ძია.

ბიდენკო—ნუ ცდილობ კრავად თავი მომაჩვენო.

ვანია—არა, მართალს ვამბობ!

ბიდენკო—აბა, მოდი აქ. ალბათ, თოკი უკვე შეიხსენი. მართალი მითხარი.

ვანია—არა, ღმერთმანი.

ბიდენკო—მაჩვენე.

ვანია—ჰა, ნახეთ.

ბიდენკო—(სინჯავს ნასკვს) ყველაფერი რიგზეა.

ვანია—მაშ რა იქნება! ორმაგი ნასკვია. ისეთი, როგორც მეზღვაურები აკეთებენ.

ბიდენკო—ჩუმად. უხერხულია ხალხის წინაშე. ხალხი დაინახავს, რომ დაბმული მიმყავხარ. სიცილს დაგვაყრიან. უხერხულია. მშვიდად იყავი.

ვანია—ჰო, ეგრე იყოს.

ბიდენკო—გამარჯობა, მეგობრებო!

ქვეითი—გაგიმარჯოს, ომის ღმერთო!

ბიდენკო—გაუმარჯოს ველის მეფეს!

ქვეითი—ჩამოჯექით ჩვენთან.

ბიდენკო—გმადლობთ.

მესანგრე—მგონი, დროა დავნაყრდეთ. (საუზმობენ).

ბიდენკო—(ჯდება) დაჯექი, ვანია!

ვანია—(ჯდება) თქვენ, ძია, ეჭვი არ შეგეპაროთ. არხეინად იძინეთ, მანქანის მოსვლისთანავე გაგაღვიძებთ.

ბიდენკო—ეე, არა, ძმობილო! ვერ მოგართვი! მეორეჯერ ვერ გამაცურებ, უკვე გამოცდილი ვარ. სჯობს ისე მოვაწყოთ, რომ ხალხმა თოკი არ დაინახოს, თორემ სირცხვილია. თოკს მოსასხამის ქვეშ დავიჭერ.

ვანია—კეთილი, ასე იყოს.

ქვეითი—საით მიიმართებით?

ბიდენკო—აი, მოწინავე ხაზიდან ფრონტის შტაბში მივდიოდით. ბიჭუნა უნდა მივიყვანო იქ, რომ შემდეგ ზურგში გაგზავნონ სადმე საბავშვო სახლში ან სკოლაში მოსაწყობად.

მესანგრე—სად წაიყვანთ ამ ლამაზ ვაჟკაცს?

ბიდენკო—გერმანელების ზურგში ვიპოვეთ. დაზვერვიდან მოვდიოდართ, ვხედავთ—სანგარში ბიჭს სძინავს. ნათურა მივანათე, იგი ელვის სისწრაფით ფეხზე წამოიჭრა! და მყისვე შემოგვიტია—ხელში გალესილი ლურსმანი ჰქონია. ძლივს მოვასწარი მკლავში ხელის წავლება.

ვანია—ნამძინარევზე ფრიცები მეგონეთ. გონს მერე მოვედი.

ქვეითი—ხედავ, რა გაბოროტებულია ფრიცებზე.

ბიდენკო—გასაგებია. გაბოროტებული რიგორ არ იქნება. მამა ომის პირველსავე დღეებში დაეღუპა. ასეა ხომ, ვანია?

ვანია—აგრეა. ჩვენი სოფელი გერმანელებმა დაიკავეს. დედა ძროხას არ აძლევდა. მახვილი დაჭრეს და სული გააფრთხობინეს.

ბიდენკო—ბებია და უმცროსი დაც შიმშილით დაიხოცნენ.

ვანია—დიახ, დაიხოცნენ. როცა სოფელი გადაგვიწვეს, თოფრა ავიღე და მათხოვრობა დავიწყე, მერე კი...



— რა მოხდა იქ? რატომ არ არის გზატკეცილზე მოძრაობა?

ბიდენკო—ჰოდა, ასე და ამგვარად.

მესანგრე—რამდენი წლისა ხარ?

ვანია—თორმეტის, მეცამეტეში გადავდექი.

ქვეითი—მამ, ძმაო, ბავშვობიდანვე გიგემნია სიმწარე.

მფრინავი—რატომ ბატარეაში არ დაიტოვეთ, ომის ღმერთო?

ბიდენკო—ჩვენ დატოვება გვინდოდა, მაგრამ ბატარეის მეთაურმა კაპიტანმა ენაკიევმა ნება არ დაგვრთო. ზურგში გაგზავნა გვიბრძანა, ისწავლისო.

ვანია—კაპიტან ენაკიევს თვალითაც არ უნახავარ, რომ ვენახე, უეჭველია, დამტოვებდა.

ქვეითი—გინდა დარჩენა?

ვანია—ძალიან მინდა, ძია! სულერთია, გავიპარები და ისევ მათთან დავბრუნდები.

ბიდენკო—ახლა ვერ გაიპარები. წარმოიდგინეთ, ბუჩი ერთი შემთხვევა უკვე მომიწყო: გამექცა, გაქანებული საბარგო ავტომანქანიდან გადახტა და ტყისაკენ მოუსვა. ძლივს დავიჭირე.

ვანია—ანბანის წიგნის ბრალია, თორემ ვერასოდეს ვერ დამიჭერდით.

ბიდენკო—არხეინად იყავი, დაგიჭერდი.

ვანია—არა ხართ მართალი. ხეზე ჩამომეძინა, ანბანის წიგნი თავზე დაგეცათ და ამით აღმომაჩინეთ, თორემ ვერასდროს ვერ დამიჭერდით.

მესანგრე—ბატარავ, თან რად ატარებ ანბანს?

ვანია—სამი წელია სკოლაში არ დავდივარ, მეშინია არ გადამავიწყდეს, ვმეცადინეობ.

მფრინავი—კითხვა იცი?

ვანია — ვიცი.

მესანგრე—აბა, წაგვიკითხე.

ვანია—ამოიღებს ანბანის წიგნს, კითხულობს: „ყმები არ ვართ ჩვენ. ჩვენ არა ვართ ყმები, ნაჯახით აპობენ შეშას. შეშით ახურებენ ღუმელს. ტყეში ცხოვრობენ ციყვები და დათვები“...

ქვეითი—საკმარისია, საკმარისია.

ვანია—ესენი დამბირდნენ ყველაფრით მოგამარაგებთო. სამხედრო ტანსაცმელს შეგიკერავთო, დაზვერვაზე წაყვანა-

საც მპირდებოდნენ. მე იქ ყოველი ბუჩქი ვიცი. სადაც უნ-
დოდათ, იქ მივიყვანდი.

ბიდენკო—მაგრამ ყველაფერი ამიდან არა გამოვიდა რა.

ვანია—ძია, ნუ წამიყვანთ ზურგში. უკეთესია უკან დავ-
ბრუნდეთ. არაფერი არ დამშავდება ამით.

ბიდენკო—ნაბრძანებია.

ვანია—მერე რა, ნუ შეასრულებთ.

ბიდენკო—არა, ძმაო. სახელმწიფო სამსახურში ასე არ არის
მიღებული. (ისმის ტელეფონის ზარის ხმა. მომწესრიგებელი
ხელში იღებს ყურმილს).

მომწესრიგებელი—დიახ, ჰო... უფროსი ადრე არა? კარგი.
(მიმართავს იქ მყოფთ). ერთ საათზე ადრე მანქანები არ
იქნება. დაისვენეთ.

ქვეითი—ჯანაბას მაგათი თავი!

მფრინავი—ქვეითად წავალ.

მესანგრე—საით, ამხანაგო ლეიტენანტო? (მფრინავი წავიდა)
ვერ გაუძლო. მგონი, გამოძინებასაც მოვასწრებ.

ბიდენკო—ჰოო, მივედით. დაიძინე, ვანია! (წვება, ამოწ-
მებს თოკს და მაგრად ექაჩება თავისკენ).

ვანია—რა მოხდა, რას მექაჩებით?

ბიდენკო—არაფერია. დაიძინე. ეს ისე, ხაზის შემოწმებაა.
უფ, როგორ მეძინება! თვალები მებლიტება.

ვანია—დაიძინეთ! დარდი ნუ გაქვთ!

ბიდენკო—შენ რატომ არა გძინავს?

ვანია—მძინავს, მძინავს, ძია. ღამე მშვიდობისა! ღამე
მშვიდობისა, საამო ძილი, გისურვებთ გენახოთ სიზმარში
თხა და ვირი. ვირი გარეკილაყამდე, თხა—დილამდე. ღამე
მშვიდობისა, ყოველივე კარგი დაძინებამდე!

ბიდენკო—უყურე, შენ! (ამთქნარებს. ადგა, გაიარა-გამოია-
რა, ისევ ჩამოჯდა. ვანიას). გესმის სროლა? (კვლავ ამთქ-
ნარებს). ოჰ, ღმერთო ჩემო, უფალო! რა უბედურებაა, თვა-
ლის გახელა ვერ მოვიხერხებია. ვანია, ვანია! მეც ვიყავი
ოდესღაც ბიჭუნა, ძროხებს ვაძოვებდი. რძესავით ბურუსი
იდგა, მთელ მინდორზე ნაპერწკლები კიაფობდნენ. მწვანედ,
ლურჯად, ყვითლად, წითლად... (მოქაჩავს თოკს).

ვანია—(ბურდღუნებს ძილში, იზმორება). მ-მ-მუ!

ბიდენკო—არა. აქ არის, არ წასულა. (ჩასთვლემს).

პაუზა. ვანია მიხოხავს.

(გამოეღვიძება). ვანია, აქა ხარ? მწყემსო ბიჭო! (სიჩუმე).
აქ არის. სძინავს. კარგი, დაიძინე, დაიძინე. მალე წავალთ.
ძილისგუდაა ეს ბიჭუნა. ვანუშა, გესმის? (მოქაჩავს თოკს)
ხედავთ, ვექაჩები, ის ვერც კი გრძნობს. ბალღია! (მოქაჩავს
თოკს)

ექიმი ქალი—(იღვიძებს, გაბრაზებით)) გამიგონეთ, ვერ
გამიგია, რა ხდება აქ? ვინ არის, რომ განუწყვეტლივ მაღ-
ვიძებს. რატომ მექაჩებით?

ბიდენკო—ოჰ, გაუხსნია! გაქცეულა! შეჩერდი! წასულა!
ღმერთო ჩემო. ღმერთმანი, დაიკარგა არ არის. ამხანაგებო!

მესანგრე—(ძილში) „რა არის, ვუტევთ?“

ბიდენკო—ბიჭუნა არ გინახავთ?

მომწესრიგებელი—ბიჭუნა წავიდა.

ბიდენკო—წავიდა?

მომწესრიგებელი—წავიდა.

ბიდენკო—საით?

მომწესრიგებელი—ვინ იცის.

ბიდენკო—დიდი ხანია?

მომწესრიგებელი—კაი ხანია.

ბიდენკო—წავიდა! ამხანაგებო, ეს რა ხდება? რა გზას
დავადგე? (გარბის).

მომწესრიგებელი—მარჯვე ბიჭუნაა... ჰმ... „ღამე მშვი-
დობისა, საამო ძილი...“

ბიდენკო—(კულისებიდან) ვანიაااა! მწყემსოოო! ვეყოფი
ხუმრობა!

სურათი მეოთხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლური ეზო სახლის წინ. ამ სახლში ამჟამად მოთავსე-
ბულია პოლკის შტაბი. თანდათან ახლოვდება ცხენების
ფლოქვების თქარათქური. შეჩერდნენ, შემოდის ენაკიევი.
ეგებება მეკავშირე ოფიცერი.

მეკავშირე ოფიცერი—გაგიმარჯოთ, ამხანაგო კაპიტანო!

ენაკიევი—პოლკოვნიკი აქ არის?

მეკავშირე ოფიცერი—აქ გახლავთ, ამხანაგო ენაკიევ. მო-
ბრძანდით.

ენაკიევი—გმადლობთ (მიდის)

გამოდის ვანია და მიმართავს გუშაგს.

ვანია—ბიძია, ნება მომეცით შეგეკითხოთ. სად არის
უფროსი?

გუშაგი—გაიარე, მე საგუშაგოზე ვდგავარ, ლაპარაკის
უფლება არა მაქვს.

ვანია—მხოლოდ ერთი სიტყვა.

გუშაგი—(მრისხანედ) გაიარე მეთქი!

ვანია—ვაჰ, ეს რა ბრაზიანი ყოფილა!

**კულისებიდან სცენაზე შემორბის ბიჭუნა-ეფრეიტორი
ყაზახის ფორმაში. ვანიას რომ დაინახავს, შეჩერდება.**

ვოსკრესენსკი — რას გაჩერებულხარ?

ვანია—მინდა და ვდგავარ.

ვოსკრესენსკი — წადი, საიდანაც მოსულხარ!

ვანია—შენ თვითონ წადი! ეს შენი ადგილი ხომ არაა!

ვოსკრესენსკი — დიახაც ჩვენია!

ვანია—როგორ?

ვოსკრესენსკი—როგორ და ისე. აქ ჩვენი ქვეგანაყოფი
დგას.

ვანია—რა ქვეგანაყოფი?

ვოსკრესენსკი—ეს შენ არ გეხება.

ვანია—შენ ვინა ხარ?

ვოსკრესენსკი—განმასხვავებელ ნიშნებში ერკვევი?

ვანია—(გაუბედავად) ვერკვევი. (თამამად) ვერკვევი.

ვოსკრესენსკი—მაშ, კარგი. ხედავ, რა არის სამხრეზე? ეს
ნიშნავს—გვარდიის კავალერიის ეფრეიტორი. გასაგებია?

ვანია—ოჰო, ეფრეიტორი! გვინახავს შენისთანა ეფრეიტ-
ორები!

ვოსკრესენსკი—წარმოიდგინე, რომ ნამდვილი ეფრეიტო-
რი ვარ. (უჩვენებს მედალს). ხედავ?

ვანია—დიდი საქმე!

ვოსკრესენსკი—დიდია თუ პატარაა, მედალი კია და. საბრ-
ძოლო დამსახურებისათვის არის. წადი, საიდანაც მოსულ-
ხარ, სანამ თავი მთელი გაქვს.

ვანია—ნამეტანს ნუ მამლაყინწობ, თორემ შენ თვითონ
მიიღებ!

ვოსკრესენსკი—ვისგან?

ვანია—ჩემგან.

ვოსკრესენსკი—შენგან? ჯერ პატარა ხარ!

ვანია—შენზე პატარა ხომ არა ვარ!

ვოსკრესენსკი—აბა, მოდი, დავეტოლოთ.

ვანია—მოდი!

ვოსკრესენსკი—მხოლოდ არ იეშმაკო. ცერებზე არ დადგ-
ე. (ეტოლებიან). ნახე, რამდენად მაღალი ვარ? მთელი ერ-
თი ხელის დადებით.

ვანია—აბა რა იქნება—შენ ჩექმები გაცვია.

ვოსკრესენსკი—ჩექმები... რამდენი წლისა ხარ?

ვანია—ეგ შენ არ გეხება. შენ რამდენისა ხარ?

ვოსკრესენსკი—თოთხმეტისა.

ვანია—ჰოო! (უსტვენს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოსკრესენსკი—რა იყო?

ვანია—მაშ, რაღა ჯარისკაცი ხარ?

ვოსკრესენსკი—ჩვეულებრივი ჯარისკაცი. გვარდიის კავალერიისა.

ვანია—ვერ მომატყუებ. არ არის მიღებული.

ვოსკრესენსკი—რა არ არის მიღებული?

ვანია—ძალიან პატარა ყოფილხარ. ასეთები არ მიყავთ.

ვოსკრესენსკი—აი, მე კი ამიყვანეს.

ვანია—ჯარისკაცის ულუფასაც გაძლევენ?

ვოსკრესენსკი—მაშ როგორ!

ვანია—სტყუი!

ვოსკრესენსკი—არა მაქვს ასეთი ჩვეულება.

ვანია—ყველა სახის მომარაგებას გაძლევენ?

ვოსკრესენსკი—ყველა სახის.

ვანია—მინახარშსაც?

ვოსკრესენსკი—მინახარშსაც.

ვანია—იარაღიც მოგცეს?

ვოსკრესენსკი — მაშ როგორ! ყველაფერი, რაც დაწესებულია. ხედავ ჩემს ხმალს? ნაქები ფოლადია—ზლატოუსტური. ეს, თუ გინდა იცოდე, შეიძლება რგოლივით მოღუნო და არ გატყდება. განა მარტო ეს! მე ნაბადიც მაქვს.

ვანია—სტყუი.

ვოსკრესენსკი—პატიოსან გვარდიულ სიტყვას გაძლევ.

ვანია—ბედი გწევია. მე კი არ მიმიღეს. ჯერ მიმიღეს და მერე მითხრეს—არ არის მიღებულიო. ერთხელ მათთან კარავშიც მეძინა, მისადილნია კიდეც. აი, სამი ამოდენა შაქარი ჩამიყარეს ჯიქაში.

ვოსკრესენსკი—ვისთან?

ვანია—მზვერავებთან. არტილერისტებთან.

ვოსკრესენსკი—(ცივად) მაშასადამე, არ მოსწონებიხარ იმათ, ამიტომ არ მოუსურვებიათ შენი შვილად აყვანა.

ვანია—როგორ თუ შვილად? როგორ შვილად?

ვოსკრესენსკი—ცხადია, როგორ შვილად. პოლკის შვილად. უამისოდ არ შეიძლება.

ვანია—შენ შვილი ხარ?

ვოსკრესენსკი—შვილი ვარ. უკვე მეორე წელია ჩვენი ყაზახების შვილად ვითვლები. იმათ მე ჯერ კიდეც სმოლენსკთან მიშვილეს. თვით მაიორ ვოსკრესენსკიმ თავის გვარზე ჩამწერა, რადგან დედ-მამით ობოლი ვარ. ამრიგად, მე ვარ გვარდიის ეფრეიტორი ალექსი პავლეს-ძე ვოსკრესენსკი და ემსახურობ ჩემს მამობილ მაიორ ვოსკრესენსკის მეკავშირედ. მან ერთხელ სარეიდოდაც წამიყვანა. იქ, გერმანელების ზურგში, ჩვენმა ყაზახებმა ერთი ალიაქოთი ატეხეს. შეიჭრნენ ერთს სოფელში, სადაც გერმანელების შტაბი იდგა. გერმანელები საცვლების ამარა გამოცვივდნენ. რომ იცოდე, რამდენი ვიცინეთ. ისინი ერთნახევარ ასეულზე მეტი დავხოცეთ. ისე ვჩეხავდით, როგორც კომბოსტოს. ჩახ, ჩახ, ჩახ! (ხმლით უჩვენებს, თუ როგორ ჩეხავდნენ გერმანელებს).

ვანია—შენც ჩეხავდი?

ვოსკრესენსკი—მაშ რა, მეყურებინა? ასეც უნდა ყოფილიყო—ყველა ჩეხავდა და მეც ვჩეხავდი. ჩახ! ჩახ! ჩახ!.. არა... მე ეს ისე. მართალი გითხრა, მე არ ვჩეხავდი. მაშინ ჯერ კიდევ ხმალი არ მქონდა. სამაგიეროდ დავქროდი ურიკათი, რომელზეც დაზგის ტყვიამფრქვევი იდგა.

ვანია—ბედი გწევია. ჩემზე კი კაპიტან ენაკიევმა, ბატარეის უფროსმა, ბრძანა ზურგში გაგზავნეთო.

ვოსკრესენსკი — მაშასადამე, არ მოსწონებიხარ.

ვანია—არა. კაპიტან ენაკიევს თვალით არ ეუნახავარ, რომ ვენახე, არავითარ შემთხვევაში არ ბრძანებდა ზურგში გაგზავნეთო.

ვოსკრესენსკი — შენ რა იცი?

— ხედავ ჩემს ხმალს? ნაქები ფოლადია — ზლატოუსტური...

ვანია — ვიცი, იგი ამიყვანდა. აუცილებლად ამიყვანდა. მზვერავებს ძალიან შეეუყვარდი. არ ვემეტებოდი ზურგში გასაგზავნად. მაგრამ რას იზამდნენ, ნაბრძანები იყო.

ვოსკრესენსკი — მოიცა. ისევ აქ როგორ ამოყავი თავი?

ვანია — გზიდან გამოვიპარე. მესამე დღეა მოვდივარ. ვერასგზით ჩემი მზვერავები ვერ ვიპოვე.

ვოსკრესენსკი — რაიმე საბუთები გაქვს?

ვანია — საბუთები არა მაქვს.

ვოსკრესენსკი — მაშ, სამხედრო ქვეგანაყოფების განლაგებაში რაღას დაეხეტები? ვინ იცის, ვინა ხარ, რა ფრინველი ხარ, იქნებ ჯაშუში ხარ.

ვანია — ვინ არის ჯაშუში?

ვოსკრესენსკი — შენ.

ვანია — ეი, ფრთხილად, თორემ მაგ სიტყვისათვის ისეთს გხეთქავ, რომ შენიანს ვერ იცნობ!

ვოსკრესენსკი — ვინ ხეთქავს?

ვანია — მე.

ვოსკრესენსკი — ვის ხეთქავს?

ვანია — შენ.

ვოსკრესენსკი — მე?

ვანია — შენ.

ვოსკრესენსკი — მიფრთხილდი, თვითონ მე არ გხეთქო.

ვანია — ვინ ხეთქოს?

ვოსკრესენსკი — მე.

ვანია — ვის ხეთქოს?

ვოსკრესენსკი — შენ.

ვანია — აბა, მხეთქე!

ვოსკრესენსკი—გეუბნები, გზეთქავ.

ვანია—მზეთქე!

ვოსკრესენსკი—ესლა მაკლია! შენ ვინა ხარ, რომ შენ გზეთქო!

ვანია—ვინც გინდა ვიყო.

ვოსკრესენსკი—ძალიან დიდი წარმოდგენა გაქვს შენს თავზე. შენთან დავიდარაბის თავი არა მაქვს. სამსახურიდან მელის. (ძიდის).

გუშაგი—შენ ისევ აქა ხარ? აბა, ბიჭიკო, ძოშორდი შაგ ჭიშკარს. გარეშე პირის აქ დგომა აკრძალულია.

ვანია—გარეშე არა ვარ.

გუშაგი — მაშ ვინა ხარ?

ვანია—თქვენიანი ვარ.

გუშაგი—როგორ ჩვენიანი?

ვანია—საბჭოთა.

გუშაგი—მერე რა, რომ საბჭოთა ხარ. გეუბნები, აკრძალულია მეთქი, მაშასადამე, უნდა მიხვდე, რომ აკრძალულია. გასწი აქედან.

ვანია—ძია, აქ შტაბია?

გუშაგი—სულერთია, რაც უნდა იყოს.

ვანია—მე უფროსი მინდა.

გუშაგი—გასწი მეთქი. შენთან ლაპარაკის თავი არ მაქვს.

ვანია—თუ ასეა, ნურც მელაპარაკებით, ძია, გამატარეთ უფროსთან და ამით გათავდება.

გუშაგი—დახეთ, რა ჭკვიანია! აქ არავითარი უფროსი არ არის.

ვანია—აი, ეგ არ არის მართალი. არის უფროსი!

გუშაგი—შენ საიდან იცი?

ვანია—უცბად შევატყვე. სახლი კარგია. ეზოში შეკაზმული ცხენები დგანან. დერეფანში ვიღაც დეიდამ სამოვარი შეიტანა. აქვე გუშაგი დგას.

გუშაგი—მეტისმეტად საზრიანი ხარ! ახლავე დაუსტვენ, გუშაგების უფროსს გამოვუძახებ და ის ხელად წაგიყვანს აქედან.

ვანია—სად წამიყვანს?

გუშაგი—სადაც საჭიროა. აბა, შენ გელაპარაკები თუ არა? მოშორდი ჭიშკარს.

შემოდის ენაკიევი.

ვანია—ძია, ნება მომეცით მოგმართოთ.

ენაკიევი—(მხიარულად) რახან გულით გინდა, მომმართე. სცადე.

ვანია—ძია, თქვენ უფროსი ხართ?

ენაკიევი—ჰო. მეთაური ვარ. რა იყო?

ვანია—თქვენ ვისი მეთაური ხართ?

ენაკიევი—ბატარეის მეთაური ვარ, ჩემი ლარისკაცების მეთაური ვარ, ჩემი ზარბაზნების მეთაური ვარ.

ვანია—კაპიტნების მეთაური ხართ?

ენაკიევი—არა, კაპიტნების მეთაური არა ვარ. მაგრამ შენ ეს რად გინდა?

ვანია—მინდა. მე მეგონა, რომ თქვენ ყველაზე მთავარი მეთაური ხართ.

გუშაგი—გაიარე, პატარავ...

ენაკიევი—მოიცა, მოიცა! ყველაფერი ეს საინტერესოა. საიდან გამოიტანე ეს დასკვნა?

ვანია—ერთი, ორი, სამი, ოთხი... (უყურებს ენაკიევის მხრებს და თითებზე ითვლის) ოთხი და ოთხი—რვა...

ენაკიევი—რას ითვლი?

ვანია—თქვენს ვარსკვლავებს ვითვლი. ცოტა როდია — რვა ცალი ვარსკვლავია. ოთხ-ოთხი თითო სამხრეზე. არა, ძია, თქვენ, ალბათ, ყველაზე მთავარი მეთაური ხართ, მხოლოდ არ გინდათ თქვათ. მე, ძია, ისეთი მეთაური მინდა, რომ მას შეეძლოს ყველა კაპიტანს უბრძანოს.

ენაკიევი — აბა, მითხარი, რა უნდა უბრძანოს ყველა კაპიტანს?

ვანია — ყველა კაპიტანს კი არ უნდა, ერთს რაძანოს, ერთს უნდა უბრძანოს.

ენაკიევი — სახელდობრ ვის?

ვანია — კაპიტან ენაკიევს.

ენაკიევი — როგორ, როგორ სთქვი? რომელ კაპიტანს?

ვანია — ენაკიევს.

ენაკიევი — ოჰოო! ეს რა კაპიტანია ასეთი?

ვანია — ოჰ, ძია, ისეთი ბრაზიანი კაპიტანია! პირდაპირ უბედურებაა, ნამდვილი მხეცია!

ენაკიევი — შენ ოდესმე გინახავს ის ბრაზიანი კაპიტანი?

ვანია — საქმეც ისაა, რომ არ მინახავს.

ენაკიევი — იმას კი უნახავხარ?

ვანია — არც მას უნახავარ. მან მხოლოდ ბრძანება გასცა ზურგში ჩემი გაგზავნისა და კომენდანტისათვის ჩაბარების შესახებ.



— აბა, მითხარი, რა უნდა უბრძანოს ყველა კაპიტანს?

ენაკიევი—მოიცა, მომითმინე. შენ რა გვქია?

ვანია—რა მქვია? ვანია.

ენაკიევი—მხოლოდ ვანია?

ვანია—ვანია სოლნცევი.

ენაკიევი—მწყემსი ბიჭი?

ვანია—სწორია. მზვერავებმა დამარქვეს მწყემსი ბიჭი. თქვენ საიდან იცით?

ენაკიევი—მე ყველაფერი ვიცი, რაც კაპიტან ენაკიევის ბატარეაში ხდება. ერთი ესლა მითხარი, გეთაყვა, რა ინებით გაჩნდი აქ, თუკი კაპიტანმა ენაკიევმა შენი ზურგში გაგზავნა ბრძანა?

ვანია—გავიქეცი.

ენაკიევი—აი, რაში ყოფილა საქმე. ეს ჩემთვის ახალი ამბავია. როგორ გაიქეცი?

ვანია—ავიღე და გავიქეცი.

ენაკიევი—ერთბაშად აიღე და ერთბაშად გაიქეცი?

ვანია—არა, უცებ კი არა, ორჯერ მომიწია გაქცევა. პირველად გავიქეცი, მაგრამ მიპოვა. მერე კი ისე გავიქეცი, რომ უკვე ვეღარ მიპოვა.

ენაკიევი—ვინ ვერ გიპოვა?

ვანია—ძია ბიდენკომ.

ენაკიევი—ბიდენკომ? რაღაც მეეჭვება, რომ შენ ბიდენკოს გაექეცი. ის ისეთი კაცი არ არის. მე მგონია, შენ რაღაცას ჩმახავ, ყმაწვილო. ასეა თუ არა?

ვანია—აქვე გავქვავდე, თუ გატყუებდეთ. მზვერავის პატიოსან სიტყვას გაძლევთ! მეზღვაურებმა რომ იციან, ისეთი ორმაგი ნასკვით დამაბა. თვითონ კი დაიძინა. მე მოვიხსენი თოკი და მივაბი ერთ დეიდას, სამხედრო ექიმს, და ჰერი—მოვუსვი. არ ვიცი, რამდენი ექაჩავა იგი იმ დეიდას ფეხს. ალბათ ძალიან გაბრაზდა დეიდა!

ენაკიევი — ეს მაკმაკმა წაგიღოს (ხარხარებს) არა, ეგ შეუძლებელია! სიცილით მომკალი, ბიჭო (ხარხარებს). ჰაი, ბიდენკო! ჰაი, განთქმულო მზვერავო!

ვანია — ძია, აქ ერთ სამხედრო ბიჭუნას შევხვდი. პოლკის შვილს. ამათმა მიშვილესო, მითხრა, იმიტომ, რომ მოვეწონეო. შენ კი, მითხრა, ალბათ არ მოეწონეო და ამიტომ გაგზავნეს ზურგშიო. ის ტყუის, ძია, თითქოს ჩვენებს არ მოვეწონე. ჩვენებს მოვეწონე. მართალს ვამბობ. მხოლოდ ისინი ვერაფერს გახდნენ იმ კაპიტან ენაკიევთან.

ენაკიევი—მაშ, გამოდის, რომ შენ ყველას „მოსწონებიხარ“, მხოლოდ ერთადერთ კაპიტან ენაკიევს „არ მოსწონებიხარ“.

ვანია—დიახ, ძია! ყველას მოვეწონე, მხოლოდ კაპიტან ენაკიევს არ მოვეწონე, მას კი ერთხელაც არ ვუნახავარ. შეიძლება განა უნახავი კაცის დასდგა? ერთხელ რომ მაინც ვენახე, შეიძლება მასაც მოვწოდებოდი, ხომ ასეა?

ენაკიევი—შენ ასე გგონია? მაშ, კარგი, ვნახოთ. ღამით ბიჭებთან ერთად გივლია?

ვანია—როგორ არ მივლია. მივლია, ძია.

ენაკიევი—ცხენიდან არ გადმოვარდები? ახლავე წავალთ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რუსულიდან თარგმნა

ლეო ესაკიამ

დ. ი. მენდელეევი
ა. პ. ბოროდინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენიალური რუსი ქიმიკოსი დიმიტრი ივანეს-ძე მენდელეევი დიდი რუსი ხალხის სიამაყეა, მსოფლიოს უდიდესი მეცნიერი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მენდელეევმა აღმოაჩინა და ყოველმხრივ დაასაბუთა თანამედროვე ქიმიის ერთ-ერთი ძირითადი კანონი—ქიმიურ ელემენტთა პერიოდულობის კანონი. მენდელეევის „ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა“, ქიმიის ყოველ გაკვეთილზე მოსწავლის თვალწინ რომ არის, მარტო სკოლის ფარგლების ქიმიის ღრმა ცოდნის საფუძველი როდია. ეს სისტემა ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელია, კომპასია მეცნიერ მკვლევარისათვის; მეცნიერული კვლევა-ძიება დღეს წარმოუდგენელია ამ სისტემის გარეშე.



დ. ი. მენდელეევი

1834—1907

ა. პ. ბოროდინი

1833—1887

ალექსანდრე პორფილეს-ძე ბოროდინი, შესანიშნავი რუსი მეცნიერი ქიმიკოსი და გამოჩენილი კომპოზიტორი, შთამომავლობით ქართველი იყო, შვილი ლუკა სტეფანეს-ძე გედევანიშვილისა. მამამ იგი თავისი ყმის პორფილე ბოროდინის სახელზე ჩაწერა მონათვლის დროს. ბოროდინი თავის თავს უფრო მეცნიერ-ქიმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსად თვლიდა, ვიდრე კომპოზიტორად, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭი მან მუსიკაში გამოიჩინა. თავის მუსიკაში ბოროდინი უმღერდა რუსი ხალხის სიმამაცეს, გმირობას, მის ნათელ გონებას. საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს ბოროდინის ოპერა „თავადი იგორი". ეს ოპერა მუსიკალური განსახიერებაა რუსული დიადი ეპოსის „ამბავი იგორის ლაშქრობისა" და მიძღვნილია რუსეთის მიწაწყლის ამაოხრებელი მტრის წინააღმდეგ თავად იგორის გაბედული ლაშქრობისადმი.

მენდელეევი და ბოროდინი წლოვანებით თითქმის ტოლნი იყვნენ. ახალგაზრდობისას ისინი ერთად იყვნენ უცხოეთში მეცნიერულ მივლინებაში. უცხოეთში ყოფნის დროს, 1860 წელს, ერთხელ ისინი მატარებლით მოემგზავრებოდნენ იტალიის ქალაქ ვერონადან. თუ რა შეემთხვათ მათ ამ მოგზაურობის დროს, ამას გვიამბობს საბჭოთა მწერალი ალექსანდრე ილჩენკო თავის მოთხრობაში „თავგადასავალი უცხო მხარეში".

ალექსანდრე ილჩენკო

ნახატები ირ. რაზმაძისა



თავგადასავალი უცხო მხარეში

ჩვენი სიმაგრე — სამშობლოსადმი სიყვარულია...

„თავადი იგორი"

ძველი ქალაქი მოსახვევში მიიმალა. მატარებელმა სისწრაფეს უმატა. დახშულ ვაგონში სალებავებისა და ორთქლმავლის კვამლის სუნი ტრიალებს.

დიმიტრი ივანეს-ძემ ფანჯარა გააღო. ქარმა გაწეწა მისი გრძელი თმები. წვიმის წვეთები შხაპუნით მოხვდა სახეში თანამგზავრს, ალექსანდრე ბოროდინს. მან დაბნეულად უკან დაიხია, შემდეგ წვიმას მიუშვირა ცხვირ-კეხიანი, ლამაზად გამოკვეთილი სახე. მოპირდაპირე მხარეს მაჯდომი ახალგაზრდა იტალიელი ქალი აშკარად შესტრფოდა უცხოელს. ბოროდინი ვერ ამჩნევდა მას, თუმცა, უნდა ითქვას, ქალიშვილი ყურადღების ღირსი იყო. ერთ-ერთ პატარა სადგურზე, როგორც კი გავიდა ვაგონიდან ქალიშვილი, დიმიტრი ივანეს-ძემ შეამჩნია, რომ მას თითქოს რაღაცასი ეშინია ან რაღაცის მოლოდინშია.

— დავხურო ფანჯარა?—იკითხა დიმიტრი ივანეს-ძემ.

ბოროდინმა უადგილო პასუხი გასცა:

— ბრმა წვიმაა...—არც კი გახსენებია მის მიერ დილას თქმული კალამბური: „ვერონა*) გვაცილებს სიხარულის ცრემლებით"—კოკისპირული წვიმით...

რუსი ქიმიკოსები დიმიტრი მენდელეევი და ალექსანდრე ბოროდინი პაოლო ვერონეზეს**) სამშობლოს ისე ტოვებდნენ, რომ გული არ სწყდებოდათ. ციხე-სიმაგრის კედლებით გარშემორტყმულ ვერონაში, რომელიც ავსტრიელთა მიერ დაპყრობილ ვენეციის ოლქში შესასვლელს ჰკეტავდა, დაეხეტებოდნენ მეფის ოფიცრები, ხოლო ქანდარმები ყოველ კუნჭულში რაღაცას დაეძებდნენ. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ რამდენიმე დღის წინათ, 1860 წლის 5 მაისს, თავისი მებრძოლებით დაიძრა რევოლუციონერი გენერალი გარიბალდი***).

*) ვერონა—იტალიის პროვინციის ვერონას მთავარი ქალაქი და ციხე-სიმაგრე მდინარე ეჩზე.

**) პაოლო ვერონეზე—XVI საუკუნის იტალიელი მხატვარი.

***) ჯუზეპე გარიბალდი—XIX საუკუნის სახელგანთქმული იტალიელი პატრიოტი, რომელიც მეთაურობდა ბრძოლას იტალიის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის, თავგანწირვით ებრძოდა ავსტრიელ დამპყრობლებსა და რომის პაპის ბატონობას.

წვიმა არ წყდებოდა. დიმიტრი ივანეს-ძემ ფანჯარა დახურა და ოდნავ შეუძლოდ მყოფ საშას კისერზე კაშნე შემოახვია.

ქალიშვილი თვალს ადევნებდა ლამაზ უცხოელს და აკვირვებდა მისი უაზრო და დაფანტული მზერა... რომ იცოდეს ამ ქალმა, რამდენი ფათერაკი და საწყენი შეხვედრია ალექსანდრეს თავისი დაფანტულობის გამო!

აი თუნდაც დღეს. რამდენი ღელვა გადაიტანა დიმიტრი ივანეს-ძემ ვერონიდან გამომგზავრებისას... საშას კინაღამ დააგვიანდა მატარებელზე: ერთი წუთით წავიდა სადღაც, ნამდვილად კი ნახევარი დღე გაატარა პალაცო*) ტრეცოსთან,—მოხეტიალე მუსიკოსს უსმენდა...

აი, ახლაც, თითებით დაუხშვია ყურები და რაღაცას ღიღინებს: იქნებ მოხეტიალე მუსიკოსთან მოსმენილი მელოდიაა?

ოხ, ეს მუსიკა! ჯერ კიდევ პეტერბურგში, ალექსანდრე რომ სტუდენტი იყო, პროფესორი ზინინი შეესწრო მას, როცა იგი ლაბორატორიაში, ქიმიურ ჭურჭლებს შორის, ქიმიკოსისათვის უჩვეულო საქმეს ეწეოდა: ჭაბუკი ნოტების ხუთ ხაზს შორის ფხაჭნიდა მუსიკალურ ნიშნებს, თხზავდა რომელიღაც რომანსს, მგონი „მზეთუნახავ მეთევზე ქალს“...

— თქვენ, ბატონო ბოროდინო,—უთხრა ბაშინ მას ზინინმა,—უკეთესი იქნება ნაკლებ დროს დახარჯავდეთ რომანსებზე. მთელს იმედებს თქვენზე ვამყარებ, მინდა ჩემი შემცვლელი გახდეთ, თქვენ კი მუდამ მუსიკაზე ფიქრობთ...

აი კიდევ ერთი შემთხვევა. ერთხელ თურმე ამხანაგთან ერთად ბოროდინი ღამით ბრუნდებოდა შინ. ფარნები უკვე ჩამქრალი იყო; უცბად ბოროდინის ამხანაგს უკანიდან ხმაური შემოესმა, და სადღაც ქვევიდან, თითქოს მიწისქვეშიდან, ფლეიტის ხმა გაისმა. გამოირკვა, რომ სიბნელეში მომავალი ალექსანდრე სარდაფში ჩაგორებულიყო. მას ძალზე შეშინებოდა, და იმიტომ კი არა, ძვლები არ მქონდეს დამტვრეულიო, არამედ გატეხილი არ იყოს ფლეიტაო, რომელიც იმ დროს ამოღლიავებული მოჰქონდა. იმისათვის, რომ გამოერკვია, მთელი იყო თუ არა ფლეიტა, იქვე, სარდაფში ჩაჰბერა, გასინჯა და რაღაც მელოდია დაუკრა თავის საყვარელ მენდელსონიდან**)...

წვიმა შეწყდა. ახალგაზრდა მეგობრები, რომლებსაც უკვე დიდი ხანია სამშობლო ენატრებოდათ, საუბრობდნენ შინაურ საქმეებზე, რუსეთის შესახებ.

— ჩვენი ქვეყანა,—ამბობდა მენდელეევი და აქნევდა თავის გრძელთმიან თავს, — მოითხოვს ბევრს, ძალიან ბევრს. მაგრამ უფრო მეტის მოცემა შეუძლია!.. ნიჭიერია ჩვენი ხალხი, სიცოცხლით აღსავსე, საკუთარ კულტურას ჰქმნის იგი... აი, შენ, ეშმაკმა კი წაგიღოს, მენდელსონს ჰბაძავ, თვითონ კი, როგორც ვხედავ, რუსული საცეკვაოს მოსმენა გენატრება.

ისმენდა რა უცნობი ენის ბგერებს, მენდელეევის თავისებურ ინტონაციებს — ხან მრისხანეს, ხან იდუმალსა და ალერსიანს, იტალიელმა ქალიშვილმა ჩათვლიმა, როგორც საშინელი დაღლისაგან არაქათგამოლეულმა ადამიანმა. მას სავარძლის საზურგეზე თამამად და ლამაზად მიეყრდნო თავი და ისე ეძინა. მხოლოდ ახლა შენიშნა ბოროდინმა, თუ რა მშვენიერება იყო მის წინ. იგი წამოდგა კიდეც დხ აუჩქარებლად, ცოტათი რყევადი სვლით მოპირდაპირე ფანჯრისაკენ გასწია, რათა იქიდან უკეთ შეეთვალიერებინა მძინარე ქალიშვილი. ამ დროს მხარზე იგრძნო ვიღაცის უხეში, მძიმე ხელი—მის გვერდით იდგა ბრგე ავსტრიელი ჟანდარმი.

— მომყევით!—თქვა ჟანდარმმა და თავისკენ მოსწია ბოროდინი.—შენც, აბა, ჩქა-



*) პალაცო—იტალიურად—სასახლე.

**) მენდელსონი—XIX საუკუნის სახელგანთქმული გერმანელი კომპოზიტორი.

რა!—შეუძახა გაღვიძებულ ქალს და სახტად დარჩა, როცა მისსა და ალექსანდრე პორფილეს-ძის შორის ჩადგა ოდნავ მოხრილი, ძვალმაგარი, ახოვანი მენდელეევი.

— არსად არ წამოვლენ ესენი,—ნელი ხმით და მშვიდად თქვა გერმანულ ენაზე მენდელეევმა.

ბოროდინი ფანჯრისაკენ წავიდა, რათა ქალიშვილი დაეფარა. მეორე ჟანდარმი, რომელიც გასასვლელს იცავდა, მათკენ გაიჭრა, მაგრამ, როცა მენდელეევის ლურჯ, ცივსა და პატარა თვალებში ანთებული მრისხანება დაინახა, განცვიფრებული შეჩერდა: მიხვდა, რომ აქ ყვირილით ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ ბოროდინს ხვეწნა დაუწყო დამორჩილებოდა და თან გაჰყოლოდა. ეს მანამ გაგრძელდა, სანამ ჟანდარმები არ მიხვდნენ, რომ ისინი თავს დაესხნენ სულ სხვა ვინმეს, ვიდრე მათ ესაჭიროებოდათ.

ვაგონის ფანჯრებიდან უკვე სადგურის შენობები ჩანდა. მატარებელი საზღვარს უახლოვდებოდა: აქედან იწყებოდა იტალიის მიწა-წყალი, რომელზეც ჯერ არ დაედგათ ფეხი ავსტრიელ დამპყრობლებს. ჟანდარმი ისევ აყვირდა:—რატომ მაშინვე არა სთქვით, რომ რუსი სტუდენტები ხართო.

— რატომ თქვენ არ იკითხეთ მაშინვე? — ნიშნისმოგებით შეეკითხა, მენდელეევი, ბავშვივით აკისკისდა და კუდამოძუებულ, გაწბილებულ ჟანდარმებს მიაძახა:—მე მგონი, ბოდიშის მოხდა ურიგო არ იქნებოდა, ეშმაკმა წაგიღოთ!

როცა მატარებელი საზღვარს გადასცდა, მოულოდნელად წამოხტა ქალიშვილი, ორივე ლოყაზე ალაცა გაოცებულ ბოროდინს, შემდეგ ტუჩები შეახო დიმიტრი ივანეს-ძის ახალაყრილ წვერ-ულვაშს, რაღაც შეიძახა და ფრთაშესხმული გარეთ გასხლტა. ბოროდინი უკან დაედევნა, მაგრამ მზეთუნახავი ვერსად იპოვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ის ვაგონი, რომლითაც რუსები მოდიოდნენ, მგზავრებით აივსო. მენდელეევსა და ბოროდინს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, რაღაცას უმღეროდნენ, მეგობრები კი ვერაფერს მიმხვდარიყვნენ და უკვირდათ ყველაფერი ეს.

ბოლოს დიმიტრი ივანეს-ძემ, როგორც იყო, გამოარკვია, რომ ავსტრიელი ჟანდარმები მატარებელში ეძებდნენ ციხიდან გაქცეულ ვიღაც იტალიელს. ბოროდინი, რომელსაც სამხრეთული ტიპის სახე ჰქონდა, გაქცეულს მიამსგავსეს, ამის გარდა გაუგებრობა გამოიწვია რუსების კუპეში მყოფმა ქალიშვილმა: ჟანდარმებმა იცოდნენ, რომ გაქცეულ იტალიელს თან და მიჰყვებოდა...

ის, ვისაც ავსტრიელები ეძებდნენ, თურმე იმავე ვაგონით მგზავრობდა, და რუსებთან ჟანდარმების შეხლა-შემოხლის [illegible] მშვიდობით მეორე ვაგონში გადასულა. მატარებელში ამბობდნენ, ეს იყო გარიბალდის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარიო.

იტალიელის დამ, რომელიც რუს სტუდენტებთან ერთად მგზავრობდა, მომხდარი ამბავი მთელ მატარებელს მოსდო. ამაო იყო მეგობრების ცდა განემარტათ ხალხისათვის, რომ მდევრები მათ სრულიად შეეთხვევით შეაჩერეს.



საბოლოო სადგურის ბაქანზე საიდანღაც იტალიური ორკესტრი გაჩნდა. დაიგრიალა მარშმა. რუსებს აღტაცებული ხალხი შემოეხვია.

ბოროდინმა მიაყურა. ორკესტრში მყოფი ფლეიტაზე დამკვრელი სამინლად აყალბებდა მოტივს. ალექსანდრემ ვერ გაუძლო ამას, მუსიკოსი შეაჩერა, სწრაფად ამოიღო საკუთარი ფლეიტა და დაუკრა მარში, რომელიც ის-ის იყო მოისმინა.

განცვიფრებულმა მუსიკოსებმა თავი დაანებეს დაკვრას და ბოროდინი სოლოდ დარჩა... იგი შეკრთა და წუთით დადუმდა, მაგრამ პაუზის შემდეგ უცბად ჩვეულებრივი რუსული საცეკვაო დაუკრა.

გადმოაკეთა რუსულიდან
ლეო ხომერიკმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინგრადი

თითქმის ოთხასი წლის წინათ იმ ადგილას, სადაც ვოლგა დონს უახლოვდება, აღმოცენდა ციხე-სიმაგრე... მას ცარიცინი უწოდეს... ცარიცინის სახელის წარმოშობის შესახებ რამდენიმე აზრი არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ იგი წარმოიშვა ქალაქზე გამავალი ნაკადულის — ცარიცას სახელისაგან (თათართა ბატონობის ხანაში). ზოგი ამ სახელწოდების წარმოშობას უკავშირებს თათრულ გამოთქმას „სარი სუ", რაც „ყვითელ წყალს" ნიშნავს, ანდა გამოთქმას „სარა ჩინ", რაც „ყვითელ კუნძულს" ნიშნავს.

ქალაქი ვოლგაზე — ცარიცინი

ცარიცინის არსებობის მთელი ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ვოლგასთან, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „რუსეთის დიად მდინარეს, დედა-მდინარეს". ვოლგა—მრავალი ისტორიული ამბის მოწმეა... ვოლგა უხსოვარ დროსაც, შუა საუკუნეებში და ახლო წარსულშიც რუსი ხალხის სიამაყე იყო. ვოლგასთან დაკავშირებულია დიდი რუსი ხალხის უკვდავი, გმირული ისტორია.

ვოლგისპირეთიდან დაიძრა დიადი პატრიოტების — კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის სახალხო ლაშქარი მოსკოვისაკენ პოლონელ ინტერვენტთა დასათრგუნავად.

აქ, ვოლგაზე, ჩაიდინა თავისი უკვდავი გმირობა სახალხო პატრიოტმა, კოსტრომელმა გლეხმა ივანე სუსანინმა. ვოლგაზე დაცურავდნენ საბრძოლო ნავებით სტეფანე რაზინი და ემელიანე პუგაჩოვი...

ვოლგაზე დაიწყო რუსეთის მრავალი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრება და შემოქმედება. ვოლგა კაცობრიობის გენიოსის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სამშობლოა. აქ გამოვიდნენ ცხოვრებისა და შემოქმედების სარბიელზე მაქსიმ გორკი, ნიკოლოზ ჩერნიშევსკი, ნიკოლოზ ნეკრასოვი, ივანე გონჩაროვი, ალექსანდრე ოსტროვსკი, გამოჩენილი რუსი გამომგონებელი ივანე კულიბინი, პოეტი-დეკაბრისტი კონდრატი რილეევი, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ვასილი ჩაპაევი და სხვები.

სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ვოლგის ნაპირებზე საგმირო საქმეებით ასახელეს დედა-სამშობლო ხალხის საუკეთესო შვილებმა, ლენინისა და სტალინის თანამებრძოლებმა: კიროვმა, კუიბიშევმა, ჩაპაევმა, პარხომენკომ, ამხანაგებმა ვოროშილოვმა, ბუდიონიმ.

ვოლგის ნაპირებზე ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ბედ-იღბალი გადაწყვიტა დიდი ლენინის უახლოესმა თანამებრძოლმა—იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა...

ცარიცინის გმირული დაცვა

1918 წელი... ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთი სამოქალაქო ომის ხანძარმა მოიცვა... ქვეყნის ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა. უკრაინისა და ციმბირის ოქროსთავთავიან ველმინდვრებს მტრები დაეპატრონენ. დონის-როსტოვის ოლქი პურის ერთადერთი რაიონიღა დარჩა, ხოლო ცარიცინი (ასტრახანთან ერთად) კარიბჭე იყო სამხრეთ რუსეთის სასურსათო და სათბობის სიმდიდრეთაკენ.

სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობით ცარიცინს უაღრესად დიდი როლი ენიჭებოდა. დონზე შეკრებილი კონტრრევოლუციური რაზმები ყოველ ძალას ხმარობდნენ, რათა შეერთებოდნენ ურალის თეთრ ყაზახობას, მთელს აღმოსავლეთის ფრონტს, ჩეხოსლოვაკელთა და კოლჩაკელთა ურდოებს.

სამხრეთისა და აღმოსავლეთის კონტრრევოლუციის ძალთა ეს შეერთება უდიდეს საფრთხეს უქადდა საბჭოთა რესპუბლიკას. მაგრამ წითელი ცარიცინი მათ შუაგზაზე იმყოფებოდა, ჭსაქსავდა მტრების ბნელ ძალებს.

დიდი სტალინი—ცარიცინის გმირული დაცვის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი

მოსკოვისა და სამრეწველო ცენტრების სასურსათო მომარაგების მოწყობა 1918 წელს საბჭოთა რესპუბლიკის ხსნასა და სამოქალაქო ომის წარმატებით დამთავრებას ნიშნავდა. ეს მეტად პასუხსაგები საქმე დიდმა ლენინმა ამხანაგ სტალინს დაავალა. 1918 წლის 29 მაისს ამხანაგი სტალინი გაემგზავრა ცარიცინს საგანგებო რწმუნებებით სამხრეთ რუსეთის სასურსათო საქმის ხელმძღვანელად. პირველსავე თვეში — ივნისში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ცარიცინიდან გაიგზავნა მოსკოვში, პეტროგრადში, საბჭოთა რუსეთის სამრეწველო ცენტრებში ათასობით ვაგონი სურსათი, პირველ რიგში კი—პური.

თითქმის წელიწადნახევარი (1918 წლის ივლისი—1920 წლის იანვარი) გმირულად იბრძოდა ცარიცინის პროლეტარიატი წითელი არმიის ნაწილებთან ერთად კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. უკვე მესამეჯერ შემოარტყეს ალყა ცარიცინს თეთრგვარდიელებმა, როდესაც 1919 წლის დასაწყისში ამხ. ბუდიონის ცხენოსნები ბრძოლებით გაიჭრნენ მტრის ზურგში და საბოლოოდ გაანადგურეს გენერალი კრასნოვი.

1919 წლის 30 ივნისს ცარიცინი დროებით ხელთ ჩაუვარდა დენიკინელთა ურდოებს.

კვლავ დაიწყო მძიმე დღეები ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისთვის. ამ მკაცრ და სუსხიან დღეებში ამხანაგი სტალინი ისევ სამხრეთ ფრონტზეა სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად; ის გენიალურად ახორციელებს დენიკინის განადგურების გეგმას.

1920 წლის 3 იანვარს წითელმა არმიამ იერიშით აიღო ცარიცინი.

1924 წლის აპრილში ქალაქ ცარიცინის გმირული პროლეტარიატი საბჭოთა მთავრობამ ბრძოლის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. 1925 წლის აპრილში ხალხმა, დედა-სამშობლომ წითელ ცარიცინს უწოდა მისი მხსნელის, მამისა და მასწავლებლის სახელი—ცარიცინს სტალინგრადი ეწოდა.

საბჭოთა ადამიანი ვოლგისპირა ტრამალებში

ვოლგის ნაპირი... ქალაქი სტალინგრადი...

ქალაქის მახლობლად ტრამალები დასერილია ქვაბულებით. ირგვლივ უდაბური ადგილი, არსად არ ჩანს მწვანე ბუჩქი. სუსხიანი ქარი თავისუფლად დაჰზუზუნებს არემარეს.

აქ, სტალინგრადის გარეუბანში, დღედაღამ შეუსვენებლად შრომობდა ხალხი... მთელი საბჭოთა ხალხი აშენებდა პირველი სტალინური ხუთწლედის პირმშოს — სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანას.

თერთმეტი თვის დაძაბულმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო, ვოლგის ტრამალიან ნაპირზე აშენდა ქარხანა-გიგანტი—სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა.

დაძაბული შრომის დღეებში ქარხნის მშენებლებმა კვლავ იგრძნეს დიდი ბელადის მამობრივი მზრუნველობა. ამხანაგი სტალინი ყოველდღიურად ადევნებდა თვალყურს ქარხნის მშენებლობას.

60 კილომეტრის მანძილზე გაიშალა ვოლგის გასწვრივ მშვენიერი სტალინგრადი საუცხოო ხეივნებით, ბაღებით, სახლებით, სასახლეებით, ფართე ქუჩებით, ასფალტიანი პროსპექტებით... ასეთი იყო სტალინგრადი 1941 წლის გაზაფხულზე...

„არც ერთი ნაბიჯი უკან“

1942 წლის ზაფხული... ყველაზე მძიმე დღეები საბჭოთა ქვეყნისათვის...

გერმანელმა ავაზაკებმა შეკრიბეს აურაცხელი ძალები—60 ქვეითი და მექანიზებული დივიზია, 7.000-მდე ქვემეხი, 2.000-მდე ტანკი, 1.500-ზე მეტი თვითმფრინავი და 17 ივლისს დაიძრნენ სტალინგრადისაკენ... მტერს ნავარაუდევი ჰქონდა სტალინგრადის აღება 25 ივლისისათვის. 25 ივლისს გერმანელები 150 კილომეტრით იყვნენ დაშორებულნი ქალაქს. შეტევის ყოველი კილომეტრი მტრის აურაცხელი გვამით მოიფინა. მხოლოდ აგვისტოს ბოლო რიცხვებში მიადგნენ მტრის ურდოები ქალაქის კედლებს.

სამშობლოსათვის ამ სახიფათო დღეებში საქვეყნოდ გაისმა დიდი სტალინის სიტყვები: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“

დღედაღამ ზანზარებდა ვოლგის ძიწა, დღედაღამ ფეთქდებოდა ყუმბარები, ვაზნები... ცეცხლის კორიანტელში მზე დაჩრდილულიყო. იწვოდნენ ვოლგისპირა ტრამალები... ხანძართა ალი ზეცას უერთდებოდა... ნადირი გაურბოდა ველებს, ფრინველები ტოვებდნენ მიდამოს... საბჭოთა ადამიანი კი იდგა და არა მარტო იდგა, იგი ებრძოდა გამხეცებულ მტერს. ჩვენს მებრძოლებს ნათლად ესმოდათ, რომ სწორედ აქ, სტალინგრადთან, ვოლგის მარჯვენა ნაპირზე წყდებოდა დედა-სამშობლოს ბედი, მისი აწმყო, მისი მომავალი. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ მსოფლიოს ბედი დამოკიდებულია საბჭოთა მებრძოლის გამძლეობაზე, სიმტკიცეზე, მის გამბედაობაზე, სიმამაცეზე.

მტერი ახალ-ახალ ძალებს იკრებდა... ჩვენი ჯარები კი მედგრად იდგნენ.

სტალინგრადის გმირები

სტალინგრადის დაცვამ ათასობით გმირი შეჰმატა დედა-სამშობლოს. სამუდამოდ დარჩება ხალხის ხსოვნაში სტალინგრადის გმირ დამცველთა უკვდავი სახელები. თექვსმეტი მამაცი გვარდიელი იცავდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს. ოთხჯერ უკუაგდეს მათ იტალიელ ქვეითთა შეტევა. მტერი არ ცხრებოდა. აი, მათ წინააღმდეგ დაიძრა გერმანელ მეავტომატეთა ასეული. ეს შეტევაც ერთმა მუჭა მამაცებმა უკუაგდეს. გვარდიელები არ შედრკენ მაშინაც, როდესაც მათკენ თორმეტი ტანკი დაიძრა. უთანასწორო ბრძოლაში მამაცთ ძალ-ღონე ელეოდათ, მაგრამ მაინც იბრძოდნენ ლომებივით. ცოცხლად დარჩენილი ოთხი გმირი კვლავ იგერიებდა მტრის შეტევას.

როდესაც მეთაური, გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი, კომკავშირელი ვასილ კოჩეტკოვი, სასიკვდილოდ დაიჭრა, სამი გმირი: ჩირკოვი, სტეპანენკო და შუკტამოვი, ხელყუმბარებით ეკვეთა მტრის ტანკებს... ისინი ბრძოლაში გმირულად დაეცნენ, მაგრამ ვერაგ მტერს უბანი არ დაანებეს.

ოცდაცამეტმა გვარდიელმა უკუაგდო მტრის 70 ტანკის შემოტევა. ორი დღე-ღამე გერმანელები უშედეგოდ ებრძოდნენ 33 მამაცს. უბანი კვლავ ჩვენებს დარჩათ.

33 რაინდისა და 16 გვარდიელის ლეგენდარული გმირობის ამბავი ელვასავით მოედო სტალინგრადის დამცველებს, რომლებიც კიდევ უფრო მეტი გამბედაობითა და მამაცობით ეკვეთნენ მრავალრიცხოვან მტერს.

1942 წლის 25 აგვისტოს 3 საათსა და 20 წუთზე ათასობით მტრის თვითმფრინავი მოეფინა სტალინგრადის ცას... სამი დღე-ღამე არ ცხრებოდა ყუმბართშენა... ქალაქი უზარმაზარ კოცონს დაემსგავსა. სტალინგრადის ქუჩებში გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა... თითოეული შენობა, სახლი, ღობე, ნაშენი, ყოველი ქუჩა, მოსახვევი, ეზო, სართული ბრძოლის ასპარეზად იქცა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინგრადის გმირული დაცვის მთელი სიმძიმე გადაიტანა № 62 არმიამ გენერალ ჩუიკოვის მეთაურობით, განსაკუთრებით კი ამ არმიის დივიზიამ გენერალ როდიმცევის ხელმძღვანელობით.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი გენერალ როდიმცევის დივიზიის სერჟანტმა, საბჭოთა კავშირის გმირმა იაკობ ფედოტის-ძე პავლოვმა. პავლოვის ჯგუფმა 12 კაცის შემადგენლობით დაიკავა პენზის ქუჩაზე სახლი № 61, გერმანელთა პოზიციების მახლობლად. ეს სახლი მიდამოს დაჰყურებდა და საშუალებას არ აძლევდა მტერს ვოლგასთან მისულიყო. გერმანელები გააფთრებით უტევდნენ პავლოვის ჯგუფს, მაგრამ ამაოდ... 58 დღედაღამე 12 მამაცი სიკვდილს თვალებში შეჰყურებდა და მტერს არ დაანება შენობა... ამ სახლს იმ დღეებში სტალინგრადელებმა „პავლოვის სახლი“ უწოდეს და მან მთელ ფრონტზე გაითქვა სახელი. პავლოვთან ერთად იბრძოდა ორი ქართველი მებრძოლი — მოსიაშვილი და სტეფანიშვილი.

ათასობით გმირები იშვნენ იმ მძიმე დღეებში, სტალინგრადის გმირული დაცვის დღეებში. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს სტალინგრადის გმირ დამცველებს—საბჭოთა კავშირის გმირებს ვასილ ზაიცევსა და ჭიჭიკო ბენდელიანს. დაუვიწყარი იქნება ისინბაევის, ელიგულაშვილის, პალაშკოვის, ბოროდუშინის, ვლასენკოს, ამანჟოლოვის, ბუტოვის, ოლენიჩევის, ილიჩევის, გოროდკოვის, ლიდა ალიმოვას, პეტრე ხარაიშვილისა და კომკავშირის აღზრდილი მრავალი სხვა პატრიოტის გმირობა და მამაცობა. მრავალმა მათგანმა სიცოცხლე შესწირა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას.

მთელი მსოფლიო თვალყურს ადევნებდა სტალინგრადელებს, მათ გმირულ ბრძოლას, რამაც სიტყვა „სტალინგრადი“, „სტალინგრადელი“, შეუდრეკელის, უმაგალითო გმირობის, სიმამაცისა და გამბედაობის სინონიმად გახადა.

სტალინგრადელებმა წმინდად შეასრულეს დიდი ბელადის მოწოდება... სტალინგრადმა დიდების შარავანდედით შემოსა თავისი უკვდავი სახელი, გმირი სტალინგრადელები. სტალინგრადმა საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას დრო მოეგო გადამწყვეტი ბრძოლისათვის გამანადგურებელი დარტყმის მოსამზადებლად.

დიადი გარდატეხა

1942 წლის 19 ნოემბერს ათასობით საბჭოთა ქვემეხის საარტილერიო გუგუნით დაიწყო საბჭოთა არმიის გენერალური შეტევა სტალინგრადთან. ეს იყო დიადი გარდატეხის დასაწყისი მთელი მსოფლიო ომის მსვლელობაში. ეს იყო მტრის დასასრულის დასაწყისი...

1942 წლის 19 ნოემბერს, სრულ 7 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით, დიდი სტალინის ბრძანებით 3.000-მდე საბჭოთა ქვემეხმა გამანადგურებელი საარტილერიო ცეცხლით აუწყა მთელს მსოფლიოს საბჭოთა არმიის გენერალური შეტევის დაწყება სტალინგრადთან. 3 საათის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვითი ხაზი... ჩვენი ჯარების ჩრდილოეთის დამკვრელი ჯგუფი უტევდა კლეტსკაიას რაიონიდან, ხოლო მეორე (სამხრეთი)—კრასნოარმეისკის რაიონიდან. 23 ნოემბერს ეს ორი ჯგუფი შეერთდა კალაჩის რაიონში და სტალინგრადში შეიკრა 330 ათასიანი გერმანელ-ფაშისტთა ჯარების დაჯგუფების გარემოცვის რკალი. ეს იყო სტალინური სამხედრო ხელოვნების ტაქტიკისა და სტრატეგიის ტრიუმფი. მტრის ყოველივე ცდა — გამოსულიყო ალყაშემორტყმული რკალიდან, უშედეგო აღმოჩნდა. მტერმა იარაღის დაყრაზე უარი განაცხადა და 1943 წლის 10 იანვარს საბჭოთა ჯარები მთელი სიმძლავრით ეკვეთნენ მტრის გარემოცულ ჯარებს. განწირულის სასოწარკვეთილებით უწევდა წინააღმდეგობას ვერაგი მტერი ჩვენს ნაწილებს, მაგრამ ამაოდ. გარემოცვის რკალი დღითი დღე ვიწროვდებოდა. 31 იანვარს, გარიჟრაჟზე, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს გენერალ-ფელდმარშალი ფონ-პაულუსის შტაბი. 1 თებერვალს ღამით იარაღი დაყარა გერმანელთა უკანასკნელმა დაჯგუფებამ. 1943 წლის 2 თებერვალს, ოთხი წლის წინათ, საბჭოთა ჯარების ისტორიული გამარჯვებით დამთავრდა სტალინგრადის დიადი ბრძოლა. ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 93.500-ზე მეტი გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი, 24 გენერალი, ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო ტექნიკა.

სტალინგრადის დიადი ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარები შეუჩერებლივ მიიწევდნენ წინ. სტალინგრადის შემდეგ გერმანელები წელში ვეღარ გაიმართნენ და 1945 წლის 9 მაისს საბოლოოდ, დამარცხდნენ საკუთარ ტერიტორიაზე — გერმანიაში, ბერლინში.

სტალინგრადელებმა ძლევამოსილად განვლეს გზა ვოლგიდან ელბამდე და ერთ-ერთმა პირველებმა აღმართეს გამარჯვების დიადი დროშა რაიხსტაგზე. სტალინგრადის გმირ დამცველთა ლეგენდარული დროშები აფრიალდა ევროპის ქალაქებში — ვარშავაში, ბუქარესტში, სოფიაში, ბელგრადში, პრაღაში, ბუდაპეშტში, ვენაში...

სტალინგრადი უფრო ლამაზი და მშვენიერი იქნება

მტერმა უდიდესი ზარალი მიაყენა ჩვენს სიამაყეს, გმირ ქალაქს სტალინგრადს. მრავალი თაობის შრომის ნაყოფი ავაზაკებმა ნანგრევებად აქციეს. იქ, სადაც ლამაზი შენობები, სახლები იყო აღმართული, დანგრეულ ნაგებობათა ჩონჩხებიღა დარჩა, ქალაქი ღორღისა და ქვა-აგურის ნამტვრევთა უზარმაზარ გროვას მოგაგონებდათ...

მთელი საბჭოთა ხალხი შეუდგა გმირი ქალაქის აღდგენას. სტალინგრადის აღდგენის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა საბჭოთა ახალგაზრდობამ. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან დაიძრა მშენებელთა არმია, დაიძრნენ ეშელონები საამშენებლო მასალით. 1943 წლის აპრილში გმირ ქალაქს ეწვივნენ ლენინურ-სტალინური კომკავშირის წარგზავნილები... უკვე 19 ივლისს სატრაქტორო ქარხნის თბოელექტროცენტრალმა პირველი დენი მისცა ქალაქს. გერმანელების მიერ ნანგრევებად ქცეული მეტალურგიული ქარხანა „კრასნი ოქტიაბრი“ აღდგენილ იქნა და მისმა მარტენის ღუმელმა უკვე 1943 წლის 31 ივლისს პირველი ფოლადი მისცა ჩვენს ქვეყანას.

სტალინგრადელმა პატრიოტმა ქალმა ალექსანდრა მაქსიმეს-ასულმა ჩერკასოვამ საფუძველი ჩაუყარა მასობრივ მოძრაობას საცხოვრებელი ბინების აღდგენის საქმეში. პირველ რიგში მისმა ბრიგადამ ითავა „პავლოვის სახლის“ აღდგენა. ჩერკასოველთა მოძრაობამ მოიცვა მთელი გმირი ქალაქი, ყველა შრომობს დაძაბულად, ყველა ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს გმირი ქალაქის სწრაფ აღდგენაში. გასული წლის ბოლოს მწყობრში ჩადგა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, დღითი დღე მატულობს მწყობრში შესულ ნაგებობათა რიცხვი. სტალინგრადი უფრო ლამაზი, უფრო მშვენიერი აღდგება ფერფლისაგან!

ნიკოლოზ ჯაში

ნახატები ი. კალაძისა

დავით აღამია

გმირის დაბრუნება

როცა მტერი ცოფსა ჰყრიდა
და წყდებოდა ქართველის ბედი,
კავკასიის კართან იდგა
დედის ზრუნვა და იმედი.

შემდეგ სძლია, დააწია
ურდოს რისხვა რაოდენი,
და ზურგს უკან მოიქცია,
დნეპრი, ვისლა და ოდერი.

მოიხადა ომში ვალი
და დაბრუნდა შუბლგახსნილი,
მშობლის ფიქრი, სოფლის თვალი
სახელოვან ქვეყნის შვილი.

— „კვლავ საშობლოს დავუბრუნდი
ჩამოსული შორი გზიდან,
გულში მისი სიყვარულის
ცეცხლი უფრო აგიზგიზდა.

დავაყოვნებ განა დიდხანს? —
არ მჩვევია წუთით მოცდა,
მიწას გავთხრი, არხს გავიყვან
და სამგორის ველებს მოვრწყავ!“

ასე ამბობს მკლავმაგარი.
ომის ცეცხლში გამოვლილი,
მშობლის ფიქრი, სოფლის თვალი
სახელოვან ქვეყნის შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი სურვილი

ზამთრის საღამო იყო. ერთი ღარიბი გლეხი ცეცხლის პირას ცოლს ესაუბრებოდა.

— ეჰ, ცოტა ფული რომ მქონდეს, დუქანს გავაღებდი, დღედაღამ ვიმუშავებდი და მეც მალე შეძლებული გავხდებოდი.

— მე,—უპასუხა ცოლმა,—ამას არ დავჯერდებოდი. მე ვინატრებდი ვყოფილიყავ ძლიერ მდიდარი, დიდი სახლი მქონოდა და თუ ვინმეს ჩვენსავით გაჭირვებულს ვნახავდი, დავეხმარებოდი და ვეცდებოდი ყველა ბედნიერი გამეხადა. მაგრამ რა ტყუილად ვლაპარაკობთ, ჩვენ ხომ ფერიების ხანაში არ ვცხოვრობთ!

დაასრულა თუ არა ცოლმა ეს სიტყვები, უცბად მათ ოთახში გაჩნდა მშვენიერი ქალი, რომელმაც უთხრა:—მე ფერია ვარ და გიწყალობებთ სამ რამეს, რასაც პირველად ინატრებთო. შემდეგ ფერია გაქრა.

— მე თუ მკითხავ,—თქვა პირველად ცოლმა,—სრულ ბედნიერებად მივიჩნევ, თუ ლამაზი, მდიდარი და ნიჭიერი ვიქნები.

— მაგრამ თუ მარტო ეს გვიწყალობა,—უპასუხა ქმარმა,—ჩვენ შეიძლება ვიავადმყოფოთ, ან ნაადრევად მოვკვდეთ, უფრო ჭკვიანური იქნება ვისურვოთ ჯანმრთელობა, სიხარული და დიდხანს სიცოცხლე.

— ამაღამ სულ მაგაზე ვიფიქრებ,—უპასუხა ცოლმა.—ახლა ცოტა გავთბეთ, ძალიან ცივა,—თქვა ეს და ცეცხლი გაალვივა.

როდესაც ქალმა აგუზგუზებული ცეცხლი დაინახა, დაუფიქრებლად წარმოთქვა:

— ოჰ, როგორ მინდა ახლა ძეხვი!

როგორც კი დაასრულა ქალმა ეს სიტყვები, სამი ადლის სიგრძე ძეხვი უმალ ბუხარში ჩამოვარდა.

— ერთი დამიხედეთ ამ გაუმაძღარს და მის ძეხვს!—შეჰყვირა გაბრაზებულმა ქმარმა.—ეს რა სურვილია?! ახლა მხოლოდ ორი სურვილი დაგვრჩა. მე რომ მკითხო, ახლა ისე გაბრაზებული ვარ შენი სისულელით, რომ ვინატრებდი ეს ძეხვი ზედ ცხვირზე მოგეკრას.

ეს რომ თქვა კაცმა მაშინვე მიხვდა, რომ ის უფრო სულელი აღმოჩნდა, ვიდრე მისი ცოლი, რადგან ძეხვი ახტა და მის ცოლს ცხვირზე მიეკრა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ჰქენი?! შენ უბოროტესი ადამიანი ყოფილხარ ამ ქვეყანაზე!—ჰკიოდა ქალი.

—ჩემო ძვირფასო,—შეეკადა ცოლის დამშვიდებას ქმარი,—გარწმუნებ, არ ვიცოდი, რას ვამბობდი. მომეცი ნება, რომ დიდი სიმდიდრე ვისურვო, მაშინ შევიძენ ოქროს ყუთს და იმაში დავმალავ შენს ძეხვს.

— ნუ ხარ სულელი!—მიუბრუნდა ცოლი.—სიკვდილი მიჯობს, ვიდრე ეს ძეხვი დამრჩეს ცხვირზე. მისმინე: ერთი სურვილიღა დაგვრჩენია. ნება მომეცი ახლა მე ვინატრო, თორემ ახლავე ფანჯრიდან გადავარდები!

— კარგი. ნებას გაძლევ, რაც გინდა ის ინატრეო!—უთხრა ქმარმა.

— მე მინდა, რომ ეს ძეხვი მომცილდეს!

ძეხვი იმ წამსვე მოსცილდა ქალის ცხვირს და მიწაზე დაეცა.

შიშნაჭამი ქალი მიუბრუნდა თავის ქმარს და უთხრა:

— ჩემო ძვირფასო, ფერიამ ჩვენ ჭკუა გვასწავლა. ახლა კი შევჭამოთ ეს ძეხვი, რომელიც იმ სამი სურვილიდან დაგვრჩა.

ინგლისურიდან თარგმნა ჯანდა ჯაფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სად იბადება დღე?

დასასრული*

იყო დრო, როდესაც „თარიღთა ცვლის ხაზს“ ადამიანი არ საჭიროებდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა მასზე. მიუხედავად ამისა, ახალი დღე, თვე თუ წელი, ცხადია, მაინც დგებოდა, მაინც თენდებოდა და ღამდებოდა, მზე ამოდიოდა და ჩადიოდა. მაგრამ ადამიანმა მაშინ ნამდვილად არც კი იცოდა, ბურთოსებრი იყო თუ არა დედამიწა. ხოლო როდესაც ადამიანმა მიაღწია იმას, რომ დედამიწას გარშემო შემოუარა და ამით დამტკიცდა, რომ დედამიწა ნამდვილად ბურთოსებრია, მაშინ ნათელი გახდა, თუ რაოდენ აუცილებელია ასეთი პირობითი ხაზის შემოღება და დადგენა.

ცნობილია, რომ პირველად დედამიწას ირგვლივ შემოუარა ესპანელების სამსახურში მყოფმა პორტუგალელმა მეზღვაურმა ფერდინანდ მაგელანმა. ეს იყო XVI საუკუნეში. ამ მოგზაურობის დროს, მრავალ თავგადასავალთა შორის, ადგილი ჰქონდა ერთ, იმ დროისათვის მეტად უცნაურ შემთხვევას:

მაგელანის მეზღვაურებს დაეკარგათ მთელი ერთი დღეღამე.

აი როგორ მოხდა ეს.

დედამიწის გარშემო მაგელანის მოგზაურობამ სამ წელიწადს გატანა. თვით მაგელანი გზაში დაიღუპა, ხოლო მისი ძალზე შემცირებული ეკიპაჟი, სებასტიან ელ-კანოს მეთაურობით, დიდ გაჭირვებათა გადალახვის შემდეგ დაბრუნდა ესპანეთში. მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულ ელ-კანოსა და მისი ამხანაგების სიხარულს ჩრდილი გადაეფარა ერთმა სრულიად მოულოდნელმა გარემოებამ. მეზღვაურები მოგზაურობის დროს დღიდან დღეზე კეთილსინდისიერად და ზუსტად აწარმოებდნენ ყოველგვარ ჩანაწერებს საზღვაოლოგ ჟურნალში. რასაკვირველია, ყველაზე საზეიმო დღე მათთვის სამშობლოში დაბრუნების დღე იყო. მათი ჩანაწერებით ეს მოხდა 1522 წლის 6 სექტემბერს.

მაგრამ დამხდურებმა სასაცილოდ აიგდეს იაინი:

— თქვენ რიცხვებიც აგრევიათ: დღეს 6 კი არა, 7 სექტემბერიაო.

მეზღვაურებმა გადასინჯეს თავიანთი ჩანაწერები, ყველაფერი წესრიგში იყო.

— არა,—უპასუხეს მეზღვაურებმა, — არავითარი შეცდომა არ არის. ჩვენ შევამოწმეთ ჩანაწერები: დღეს 6 სექტემბერია.

დამხდურებს გული მოუვიდათ:

— ვისაც გინდათ ჰკითხეთ, ყოველი ბავშვი გეტყვით, რომ 6 სექტემბერი გუშინ იყო, დღეს კი 7 სექტემბერია.

კვლავ გადასინჯეს მეზღვაურებმა თავიანთი ჩანაწერები: დაიკარგა ერთი დღე.

ყოველ დანაკარგთა შორის, ცხადია, ეს ყველაზე გასაოცარი, ყველაზე უცნაური დანაკარგი იყო. სერიოზულად დადგა საკითხი. საქმე ისაა, რომ კათოლიკური ეკლესია მეტად მკაცრი იყო. ერთი დღეღამე დაკარგეს მეზღვაურებმა, მაშასადამე მათ არეული ჰქონდათ საეკლესიო დღესასწაულების ყველა დღე.

მეზღვაურები ვეღარაფერს ვერ ამბობდნენ თავის გასამართლებლად. სად და როგორ დაეკარგათ ერთი დღეღამე, ვერ გაეგოთ. კათოლიკურმა ეკლესიამ მიუსაჯა მათ შეცოდების საქვეყნოდ მონანიება...

მართლა დაკარგეს მეზღვაურებმა ერთი დღეღამე?

დიახ, დაკარგეს! არ შეიძლება არ დაკარგოდათ.

დედამიწა ბრუნავს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მაგელანის მეზღვაურებმა კი დედამიწას ერთხელ შემოუარეს, მხოლოდ საწინააღმდეგო მიმართულებით, — აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერაც არ უნდა შემობრუნებულიყო დედამიწა თავის ღერძის გარშემო, ერთი შემობრუნება მათ უნ-

*) დასაწყისი იხ. ჟურნალ „პიონერის“ № 1.

და დაკარგოდათ, რადგან მეზღვაურებმა ეს ერთი შემობრუნება დედამიწის ბრუნვის საწინააღმდეგო მიმართულებით თვითონ გააკეთეს.

დავუშვათ, რომ ვიდრე მაგელანი მოგზაურობდა, დედამიწა 1000-ჯერ შემობრუნდა თავის ღერძის გარშემო (მართლაც, დაახლოებით 1000 დღე გაგრძელდა მაგელანის მოგზაურობა). ესპანეთში დარჩენილთათვის, ცხადია, 1000 დღეღამე გაივლიდა. მაგელანის მეზღვაურებმა კი, გარდა 1000 შემობრუნებისა, დედამიწასთან ერთად კიდევ ერთი შემობრუნება შეასრულეს, მხოლოდ საწინააღმდეგო მიმართულებით. ბუნებრივია, რომ მათ ერთი შემობრუნებით ნაკლები გამოუვიდოდათ. მათთვის არა 1000-ჯერ, არამედ 999-ჯერ ამოვიდა და ჩავიდა მზე, ამდენი დღეღამე ჩაწერეს კიდევაც თავიანთ სახომალდო ჟურნალებში. მაგრამ ეს, რასაკვირველია, სწორი არ იყო, რადგანაც მათ მხედველობაში არ მიიღეს ის, რომ თვითონაც მოძრაობდნენ და ისიც დედამიწის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით.

რა მოხდებოდა, მეზღვაურებს რომ შემოევლოთ დედამიწის გარშემო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კი არა, არამედ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ესე იგი, იმავე მიმართულებით, როგორც დედამიწა ბრუნავს? მაშინ ერთი დღეღამე მეტი გამოუვიდოდათ: 1000-ჯერ დედამიწასთან ერთად შემობრუნდებოდნენ და ერთხელ კიდევ საკუთარი შემოვლით, ესე იგი, სულ 1001-ჯერ შემობრუნდებოდნენ დედამიწის ღერძის გარშემო. მათთვის მზე 1001-ჯერ ამოვიდოდა და ჩავიდოდა და სამშობლოში დაბრუნებისას დაასახელებდნენ წინა დღეს კი არა, არამედ შემდეგ დღეს, რაც, რასაკვირველია, აგრეთვე არ იქნებოდა სწორი.



მაგელანი მის მიერ აღმოჩენილ სრუტეში.

ყოველივე აქედან ჩვენთვის ცხადია, რომ სინამდვილეში შეუძლებელია ისეთი თავგადასავალი, როგორსაც მოგვითხრობს ედგარ პო ოხუნჯობაში „სამი კვირადღე ერთ კვირაში“. მეზღვაური, რომელმაც შემოუარა დედამიწას აღმოსავლეთიდან დასავლეთით, სამშობლოში შეხვდა მეგობარს, რომელმაც საწინააღმდეგო მიმართულებით — დასავლეთიდან აღმოსავლეთით შემოუარა დედამიწას, ერთი ამტკიცებდა, რომ კვირა გუშინ იყო, მეორე კი—რომ კვირა ხვალ იქნება, ხოლო მათმა მესამე მეგობარმა, რომელიც თავისი მეგობრების მოგზაურობის დროს სამშობლოს ფარგლებს არ გასცილებია, განაცხადა—კვირა დღესაა.

შეუძლებელია აგრეთვე ისეთი ამბავიც, რომელსაც ჟიულ ვერნი მოგვითხრობს რომანში „დედამიწის გარშემო 80 დღეში“, სადაც მოგზაურმა, რომელმაც დედამიწას შემოუარა, სამშობლოში „ჩაიტანა“ კვირა, როცა იქ ჯერ კიდევ შაბათი იყო.

ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ მაგელანის ეპოქაში.

აი სწორედ ამგვარი არევ-დარევის თავიდან ასაცილებლად შემოღებულ იქნა „თარიღთა ცვლის ხაზი“, ანუ დროის სადემარკაციო ხაზი. ახლა ზღვით მოგზაურები, როცა ამ ხაზს გაივლიან, თუ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიდიან, ერთსა და იმავე დღეს ითვლიან ორჯერ. ასე, მაგალითად, თუ გემმა ხაზი გადაჭრა პარასკევს, 3 იანვარს, შემდეგი დღე კვლავ პარასკევად, 3 იანვრად ჩაითვლება, ე. ი., აკლებენ ერთ დღეს, ხოლო თუ გემი ამ ხაზსს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჭრის (როგორც ეს მაგელანის მოგზაურობის შემთხვევაში იყო), მაშინ ერთი დღე წაემატება და ნაცვლად პარასკევისა, 3 იანვრისა, სახომალდო ჟურნალში ჩაიწერება შაბათი, 4 იანვარი.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ПИОНЕРИ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ
ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ
ГРУЗИИ
(на грузинском языке)

1947 год — Издательство „Комунисти" — № 2

Год издания 21-й — ФЕВРАЛЬ

გასართობი



ამ სურათზე გაავლეთ სამი წრეხაზი ისე, რომ თითოეული ცხოველი განცალკევდეს.

გამოიყენეთ სურათზე აღნიშნული წერტილები ამ წრეხაზების ცენტრებად.

შინაარსი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
სტალინური პრემიის ლაურეატის უნა ჯაფარიძის ნახატი.

გიორგი კაჭახიძე — ჩვენი თებერვალი (ლექსი) . . . გარეკანის მე-2 გვ.
ვარლამ ყურული—თბილისი (ლექსი) 1
ᲐᲐ თებერვალი (ნარკვევი) 2
ელიზბარ ზედგინიძე — ბედნიერება (მოთხრობა) 4
ლიდია მეგრელიძე — მოხუცი ჯიმშერი (პოემა) 7
ნინო აღნიაშვილი—სანამ ჩრეზე (მოთხრობა) 9
მგზნებარე ბოლშევიკი (წერილი) 12
ᲚᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘ . . 13
ვალენტინ კატაევი — პოლკის შვილი (სცენები პიესიდან) . . . 15
ალექსანდრე ილჩენკო — თავგადასავალი უცხო მხარეში (მოთხრობა) 21
ნიკოლოზ ჯაში—სტალინგრადი (საბჭოთა კავშირის გმირი ქალაქები) 24
დავით ადამია — გმირის დაბრუნება (ლექსი) 28
სამი სურვილი (ზღაპარი) . . . 29
შ. გვინჩიძე — სად ბადება დღე? (საუბარი ასტრონომიულ საკითხებზე, დასასრული). 30
გასართობი 32
წაიკითხე ეს წიგნები—გარეკანის მე-3 გვ.
თამარ შავერზაშვილი — ლეკური (მუსიკა) გარეკანის მე-4 გვ.

გარეკანზე მხატვარ **ᲕᲔᲠᲐ ᲑᲔᲚᲔᲪᲙᲐᲘᲐᲡ** ნახატი **„ᲜᲝᲠᲩᲘ ᲛᲔᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲜᲘ"**

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი
თბილისი, ლენინის ქ., № 28.
ტელ. № 3—81—85.

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე (პ/მგ. რედაქტორის მაგიერ), ვ. ვარდიაშვილი. პროფ. გ. თავზიშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

უე—01608, ტირაჟი 7000, გამომც. № 17, სტამბის შეკვეთა № 220, ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი". ლენინის ქ. № 28. ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ საგემოვნო-მრეწვ. სამინისტროს ლითოგრაფიაში

წაიკითხე ეს წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო პოემები

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ მწერალ კ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოსცა პოეტ ილო მოსაშვილის საბავშვო პოემები. პოემები „კიკნას თავგადასავალი“, „ორი მონადირე“, „უცნაური ცხოველი“ და „ერთად“ გვიხატავენ ცხოველთა თავისებურ ზნე-ჩვეულებას.

ერთხელ ფრინველების ეშხით მთვრალი მელა სეირნობდა ტყეში. ამ დროს წააწყდა ზღარბს. გაუკვირდა მელას. ასეთი ცხოველი არასოდეს ენახა; არც ღორია, არც აფთარი, არც თხზუნელას გავს. გამოედევნა მელა, მაგრამ ზღარბი შეიმოსა თავისი ეკლიანი ჯაგარით. ეთამაშა მელა დიდხანს. ამ დროს, იქვე ტყის პირას, გელა ძროხას აძოვებდა. გელას ერთგული ძაღლი გამოედევნა მელას. ბოლოს მაინც თავს უშველა მელამ, ბუჩქნარს შეეფარა. როცა სული მოითქვა, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მაინც ვერ გაეგო, რა ცხოველი იყო, რომელიც მას ჯერ ეკლიან ბურთად მოეჩვენა, ხოლო შემდეგ ძაღლად გადაიქცა და უკან გამოედევნა. ასეთი საინტერესოა სხვა პოემებიც.

პოემა „როზგა ჩაფარი“ გადმოგვცემს წარსულში ბოროტი მეფის ჩაფარის ცხოვრებას, რომელიც უმოწყალო თარეშით თავზარს სცემდა გლეხობას, მაგრამ ის სასტიკად დაისაჯა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა „ბაზალეთის“ რამდენიმე თავი, რომლებიც ამ წიგნშია დაბეჭდილი. მასში მოთხრობილია ქართველი ხალხის ცხოვრება ახლო წარსულში.

ეს საინტერესო წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოს!

მოთხრობები და იგავები

მწერალ სერგო კლდიაშვილის წიგნში წარმოდგენილი მოთხრობების უმეტესი ნაწილი დაიბეჭდა ჩვენს საბავშვო ჟურნალებში „პიონერსა“ და „ოქტომბრელში“. წიგნში განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობა „შემთხვევა ძველ გორში“, სადაც აღწერილია დიდი ბელადის სიჭაბუკის დროის ამბავი.

ჩვენი წარსულის ერთ-ერთ გმირულ ეპიზოდს გვიხატავს მოთხრობა „ერისთავი ცოტნე“.

თავიანთი სათავგადასავლო ამბებით მკითხველს ხიბლავს მოთხრობები: „სიზმარა“, „აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი“ და „ერთი მურიას ამბავი“.

წიგნში აგრეთვე დაბეჭდილია მწერლის მიერ გადამუშავებული არაბული



იგავები: „მგელი“, „რამ მოკლა შველი“, „ლომი და ხარები“, „ეკლის ბუჩქი“, „ხარი და ბუზი“, „მზე და ქარი“.

წიგნის რედაქტორია პოეტი ირაკლი აბაშიძე.

33/205

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ ე კ უ რ ი

მ უ ს ი კ ა
თამარ
შავმარზაშვილისა